„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქციის დრო ყოველ დღე დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 17. კვირა, 8 მაისი 1905 წლისა. № 17.

რედაქციისაგან: რადგანაც „მოგზაურის“ 8, 14 და 16 ნომრები სრულებით აღარ მოიპოვება რედაქციაში, ამიტომ ახალი ხელის მოწერლები დასახელებულ ნომრებს ვეღარ მიიღებენ.

„მოგზაურის“ რედაქცია მკითხველების საყურადღებოთ აცხადებს, რომ მახლობელ ნომრიდან დაიწყება კლარა ცეტკინას ცნობილ ბროშიურის ბეჭდვა: „ქალი და მისი ეკონომიური მდგომარეობა“ რომელიც, შედეგ ცალკე წიგნაკათ გამოვა.

რედაქციისაგან: ამ ნომრისათვის დამზადებული წერილები რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ იბეჭდება.

შინაარსი: ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები, ა. წულუკიძისა.—ოფიციალური ცნობა.—სხვა და სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—შინაური მიმოხილვა.—ფელეტონის მაგიერი, თაგუნასი.—ჟურნალ-გაზეთებიდან,—იაფფასიანი მადლობა, ბ. თაყაიშვილისა.—ქუთათურის შენიშვნები, ისოსი.—საფრანგეთის ისტორიიდან,—ანისა.—ნიღბ აფარებული ქართველი პედაგოგები.—წერილი რედაქციის მიმართ, ი. ნ.

ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები.

ჩვენი ნაციონალისტები ეროვნულ ავტონომიას თხოულობენ. რა მოსაზრებით? ჩვენი ერი განსხვავდება რუსეთისაგან, ეროვნული განსხვავება პადებს განსაკუთრებულ ეროვნულ საჭიროებას, ამ საჭიროებას განსაკუთრებული ყურადღება ეჭირვება, შესაფერი მოქმედება და შესაფერი კანონმდებლობა. შეუძლია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება რუსეთში მყოფ მთავრობას, შორეულ ადგილის მომქმედ პარლამენტს, სადაც მხოლოთ რამდენიმე ქართველი იქნება წარმომადგენლათ? რასაკვირველია არაო,—გვიპასუხებენ ჩვენი ავტონომისტები. შეუძლებელია იმ ადამიანებმა, რომელთაც ნაკლებ ან სულ არ იციან აქაური მკვიდრთა ადათი, აქაური ცხოვრების საჭიროებანი, ეს საჭიროებანი დააკმაყოფილონ. არა თუ ვერ შეიძლებენ მარტო, არც მოისურვებენ, რადგან, რაც არ იცი იმაზე ყოველთვის ნაკლებ ზრუნავ, მით უმეტეს თუ ეს უცნობი რამ სხვა ეროვნების ხალხს შეეხება. ამიტომ ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა საკუთარი პარლამენტი კავკასიაში; ეს პარლამენტი გამოსცემს საჭირო კანონებს ქართველი ხალხისათვის, უფრო შეიგნებს თავის ქვეყნის მოთხოვნილებებს, მეტათ იგრძნობს თავის თანამემამულეების ტკივილებს და შესაფერ მალამოსაც დასდებს. ის დაგვიცავს ეროვნული შევიწროებისაგან და თვით ერში დაამყარებს ძმობას, ერთობას და სიყვარულს. ასე ბჭობენ ჩვენი ნაციონალისტები.

მართალია ეს? მართალია, თუ ერათ მივიჩნევთ ქართველ ბურჟუაზიას, ერის უმცირეს ნაწილს, შემცდარია, თუ მშრომელი ხალხის ინტერესებს აღვიარებთ საეროთ, ერის უმრავლეს ნაწილისათვის გვინდა ზრუნვა და მოქმედება. განვიხილოთ, როგორია, მშრომელი ხალხის, პროლეტარიატის ინტერესები, მართლა მოითხოვს ეს ინტერესები ეროვნულ გამოთიშვას, ანუ ეგრეთ წოდებულ ეროვნულ ავტონომიას თუ არა?

პროლეტარიატმა, როგორც საზოგადოებრივმა კლასმა, თვისი კლასიური ინტერესები უნდა დაიცოს. ამაში გამოიხატება მისი შეგნება, გაცნობიერება. როგორ უნდა დაიცვას მან თვისი ინტერესები? ის ქონებრივ არ შებრძოლებია ქონებრივათ ძლიერს ბურჟუაზიას. ამ უკანასკნელს ბრძოლაში თანვე მისი ქონების წყალობით ხელს უწყობს, ზურგს უმაგრებს, დახმარებას უჩენს მთავრობა. პროლეტარიატს ძალას აძლევს, საბრძოლველათ წრთვნის თვით ისტორიული მსვლელობა, აუცილებლობა. ის კაპიტალმა შვა და იგივე თავის მშობელს შებრძოლებია. კაპიტალისტი თვისდა უნებურათ სიმდიდრის ძიებაში იძულებულია თავისი მოწინააღმდეგე რიცხვით ამრავლოს, ერთათ თავი მოუყაროს და მით საშუალება მისცეს თავისი ინტერესების, მდგომარეობის, სოციალური ურთიერთობის შეგნების და გაცნობიერების. შეგნებული ერთობა—აი პროლეტარიატის საბრძოლველი იარაღი, მტრის საწინააღმდეგო ძალა. როცა ერთობის, ერთათ მოქმედების საჭიროება შეგნებულია, მას განხორციელება უნდა ცხოვრებაში, ამ ერთობას, ერთათ სამოქმედოთ გამოსვლას მოწყობა უნდა, ე. ი. ორგანიზაცია ეჭირვება, ადგილობრივი ორგანიზაცია ხელმძღვანელობს ადგილობრივ საქმეებს, მხოლოდ კაპიტალისტებს შეერთებული პოლიტიკური ძალა აქვთ და საერთო, სახელმწიფო საქმეები მათ სასარგებლოთ წყდება. ამ ძალის წინააღმდეგ უძლურია განცალკევებული ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების შეერთებაა საჭირო, პოლიტიკური პარტიის შექმნა აუცილებელი ხდება. მხოლოდ მუშების პარტიას შეუძლია შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს მჭიდროთ შეკრულ კაპიტალისტების ძალას; აი ამ ძალის განმტკიცებას ცდილობს დღეს ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი, ერთი სიტყვით, ყველა მუშები განურჩევლათ ეროვნებისა. ამას ეუბნება მათი ინტერესები. ეს ძალა იკვრის და მაში მონაწილეობა ქართველებსაც გვიდევს. და აი სწორეთ ეხლა, როცა მას მეტი სიმტკიცე, ერთობა, ამოძრავება ეჭირვება, გვეუბნებიან: განცალკევდით; დღეს, როცა საერთო იერიშით ციხე შენძრეულა, მხოლოთ არ დანგრეულა, გვირჩევენ: დაიშალენით; სწორეთ მაშინ როცა იმის ზრუნვაში ვართ, რომ გავიმაგროთ

მომავალი პოზიცია, ნანგრევებზე მეტი ძალა და გავლენა მოვიპოვოთ, სწორეთ მაშინ ამ ძალის და გავლენის მქონე ერთეულს არწმუნებენ: დაიქსაქსენითო. ეგებ ეს დაქსაქსვა არ მიაჩნიათ, ეგებ ამას განცალკევებათ არ სთვლიან? მაშ გავარკვიოთ.

ჩვენმა ნაციონალისტებმა ორი გზა აირჩიეს ავტონომიის მისაღებად: 1) დღესვე თხოვნით, 2) ხვალ კრებიდან მოთხოვნით. თუ პირველმა არ გაჭრა, მეორეს უნდა შეეცადონ. თავის თავათ ცხადია, რომ თხოვნა, მუდარა ბრძოლას უარყოფს, მხოლოთ ავტონომიის იდეის გავრცელება ხალხში ქართველების გამოყოფის საჭიროებას ქადაგებს. ამნაირათ ჩვენი ავტონომისტები დღევანდელი მოძრაობის მთავარი ძალის, მშრომელი ხალხის საშუალებას—ბრძოლას საქმით უარყოფენ. მხოლოთ მის შეერთებულ ძალას განცალკევებას უპირებენ. შედეგი? „ერთობის“ შესუსტება და ბიუროკრატიისაგან მოწყალების მიღების იმედები. პირველიც და მეორეც მებრძოლთ ასუსტებს. ეს სრულიად ეწინააღმდეგება პროლეტარიატის დღევანდელ ტაქტიკას და ამიტომ მას გასავალიც არ ექნება, და რასაკვირველია, მხოლოდ ჩინებულათ ახასიათებს მის ავტორებს.

მაგრამ წარმოვიდგინოთ ცოტა ხნით, რომ ჩვენთვის ეროვნული ავტონომია ძალიან საჭიროა, წარმოვიდგინოთ თანვე რომ ამ ავტონომიას ჩვენ დღესვე გვიწყალობებენ. მერმე? რასაკვირველია, ჩვენ ჩვენს საქმეების მოგვარებას უნდა შევუდგეთ, ხოლო რუსეთის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მოწყობა რუსებსავე უნდა მივანდოთ. თავი დავანებოთ იმის გამორკვევას, თუ რა ეწვევა თვით რუსეთის მუშა ხალხს; ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის წეს-წყობილება იმნაირათ მოეწყო, რომ დემოკრატიული მოთხოვნილებანი ფრთა შეკვეცილათ და დამახინჯებულათ დაკმაყოფილდა. თუ კი ჩვენს ნაციონალისტებს იმის შიში აქვთ, რომ რაც უნდა დემოკრატიული იქნეს სახელმწიფო, ეროვნულ კითხვაში მაინც რეტროგრადია და სხვა ერების ეროვნული ინტერესები დაჩაგრული და გათელილი, მით მეტი საფრთხე მოელის ამ ინტერესებს, თუ დღევანდელი დემოკრატიული მოთხოვნილებანიც სავსებით არ განხორციელდა. ეს ხომ ცხადია, მკითხველო? მაშ რა გარანტია აქვთ ჩვენს ავტონომისტებს ავტონომიის დაცვისა, ძალდატანების თავიდან დახწევის. გაიხსენეთ ფინლიანდია. რა იქნა მისი „თავისუფლება“? თქვენც კარგათ მოგეხსენებათ რა იქნა და რათ გაიქელა. აქიდან ცხადია თავი და თავი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძველზე აშენდეს და ყველაფერი ის, რაც ამის განხორციელებას ხელს უშლის დღეს, უარყოფილ იქნას. ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ ავტონომიის თხოვნა დღეს ამას ხელს უშლის და ამიტომ ჩვენ მისი წინააღმდეგი ვართ. ასეთია ბოძებული, ნაჩუქარი ავტონომიის ბედი. ვნახოთ, როგორი იქნება კრებიდან წამოღებული ავტონომია.

რუსეთის დემოკრატიულმა პარლამენტმა ჩვენ ავტონომია მოგვანიჭა. ჩვენი „ქართული საქმეების“ მართვა-გამგეობას შევუდგეთ, ჩვენი კანონები დავაწესეთ. როგორი იქნება მომავალი პოლიტიკური წესწყობილება? ბურჟუაზიული. რას ნიშნავს ეს? მართვა-გამგეობა ბურჟუაზიის ხელში იქნება და ისიც თავისი ინტერესების შესაფერი კანონების დაწესებას შეეცდება. რა არის უმთავრესი მიზანი ბურჟუაზიის? გამდიდრება. რით წვდება ამ მიზანს? საქონლის გასაღებით. როგორი საქონლის გასაღება შეუძლია ჩვენს ბურჟუაზიას? ჩვენი მრეწველობა განუვითარებელია, ტეხნიკურათ უკან ჩამორჩენილი და ამიტომ ჩვენს ბურჟუაზიას არ შეუძლია იაფი საქონელი შექნას, ღირსებით კარგი ნივთები დაიმუშაოს. ეს მას საშუალებას არ აძლევს სხვა ქვეყნების მრეწველობას კონკურენცია, მეტოქეობა გაუწიოს. მაშ რა ქნას? საბაჟოები უნდა გაიმაგროს, კონკურენცია უნდა გაიადვილოს მფარველობითი სისტემის საშუალებით.

ხალხი იძულებული ხდება გონჯი საქონელი ორკეც ფასათ შეიძინოს და მიუხედავათ იმისა, რომ შეიძლება სამუშაო ქირა მუშას რიცხვით მოემატოს, ნამდვილათ შეუმცირდება, რადგან მანეთიან საქონელში ორი მანეთი უნდა აძლიონ. ეს ერთი მხარე. რას გვიქადის მფარველობითი სისტემა გარდა ამისა; რას მოუტანს იგი კიდევ „თავისუფალ ერს“? ის რაც დღემდე რუსეთს მოუტანა. პროგრესის, წინსვლის დაგვიანება, მრეწველობის დაბალ საფეხურზე შეჩერება, რადგან ბურჟუაზიას არავითარი ძალა არ აიძულებს ტეხნიკის გაუმჯობესებას. ის ეამისოთაც იოლათ წავა. ამნაირათ კაპიტალისტური წარმოების პირველი ხანა უნდა გაგრძელდეს. პროლეტარიატი კი ვითარდება და კლასიურ ცნობიერებას ღებულობს. ამ ვითარებაში, მაშასადამე პირველის დაგვიანება აფერხებს და აგვიანებს მეორესაც. ამნაირათ ავტონომია პროლეტარიატს მის საუკეთესო იარაღს—კლასიურ შეგნებას უჩლუნგებს დროებით მაინც.

კლასიური განვითარების დაგვიანება—ეს ორი მხარე. მაგრამ ამას კიდევ მესამე ემატება, არა ნაკლებ საგრძნობელი და სავალალო პროლეტარიატისათვის. ქართველების ავტონომია, ქართველებისთვის საკუთარი კანონები, ქართველების განსაკუთრებული ინტერესები! დადგა სასიხარულო დრო, როცა კავკასიაში ეროვნებათა შორის შური და შუღლი მოისპო, მივალწიეთ ისეთ ჟამს, როცა ქართველი და სომეხი, რუსეთი და ებრაელი, თათარი და პოლონელი ძმურათ, ამხანაგურათ ხელი-ხელს ჩაკიდებულნი ერთი ინტერესებით გამსჭვალულნი, საერთო იარაღით აღჭურვილნი კავკასიის ყოველ კუთხეში პროლეტარიატის იდეალისაკენ ესწრაფვიან და მათ შორის უთანხმოებისა და უნდობლობის პირობები დღითი დღე ისპობა. მიუხედავათ იმისა რომ ქართველი და სომხის ბურჟუაზია დღესაც კინკლაობენ, ქართველი და სომხის პროლეტარიატი მჭიდრო კავშირით გადაინასკვნენ, ჩაჭრა მათ ეროვნული განხეთქილების ცეცხლი, აი ამ დროს მოაქვთ ავტონომია და ეს ცეცხლი ისევ ღვივდება. აბა როგორ არ გაღვივდება? ქართველმა მუშამ საჭარხნო კანონ-მდებლობისათვის ერთ პარლამენტში უნდა გასწიოს ბრძოლა, სომეხმა მეორეში (მაგრამ, მგონი, სომხებს ჩვენი ნაციონალისტები პარლამენტის ნებას არც კი აძლევენ) მფარველობით სისტემას ერთი ერთგან უნდა წინააღუდგეს, მეორე მეორეგან და ასე ბოლომდე. ესეც რომ არ იყოს, ამ პაწია კავკასიაში შეერთებული პროლეტარიატის დანაწევრება პოლიტიკურათ, სხვა და სხვა პირობებში ჩაყენება—რას მოასწავებს? ამას დიდი განმარტება არ ეპიკრება, მკითხველო, თუ მოიგონებ ბაქოს ამბებს, ბათუმში სომეხ-ქართველ მუშათა შეტაკებას და სხვა საგულისხმიერო ფაქტებს.

ეგებ გვითხრან: ჩვენი პროლეტარიატი უფრო შეგნებულია და რათ უნდა გაყვეს და იჩანჩალოს შეუგნებელ ნაწილთან ერთათ? მაგრამ ჯერ ის მოსაზრება დაარღვიეთ, რომ ავტონომიისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი სახელმწიფო წესწყობილება დამყარდება რუსეთში. მგონი ამის უარყოფა შეუძლებელია. მხოლოთ თუ ეს ასეა მით უფრო საზარალოა შეგნებული ნაწილის ჩამოშორება საერთო საქმეში, მით უფრო ნაკლები იქნება იმ ნაწილის ძალა, რომელიც დღეს რუსეთში ფართო დემოკრატიული წყობილების დამყარებას ესწრაფვის. შეიძლება ისიც გვითხრან, ჩვენ უფ-

რო ჩამორჩენილები ვართ, ჩვენი პროლეტარიატი ნაკლებ შეგნებულია და ამიტომ მას განსაკუთრებული პოლიტიკური პირობებიც ეჭიერებაო; მით უმეტეს არა! ჩამორჩენილს შეგნებულ და ძლიერს შეუგნებელი და უძლური ბურჟუაზიის თავისუფლათ საფიქრელათ და გასაღლეტათ?

როგორც ხედავთ პროლეტარიატს კრებიდან წამოღებული ავტონომიაც ცუდის მეტს არას მოუტანს, ბურჟუაზიას კი ბევრს რასმე. ამიტომაც არის ჩვენს ნაციონალისტებს „ბურჟუაზიული დემოკრატია“ რომ უწოდეს. მათ პირბადის ჩამოხდა ძალიან ეზარებათ და ჯავრი მოდისთ. დაე!

აბა რა ვქნათ, რომ რუსეთის პარლამენტში ჩვენს შესაფერ კანონებს ვერ გამოსცემენ, ჩვენს დედა-ენას ვერ დაიცავენ, „ჩვენს საჭიროებას ვერ იგრძნობენ, შემოგვიტევენ „სიტყვით“ და „კალმით“.

ვის საჭიროებაზე ლაპარაკობთ, ვის შესაფერ კანონებზე ზრუნავთ, რომელ დედა-ენაზე ლაპარაკობთ?

იმ საჭიროებაზე, რომელზედაც მთელი რუსეთის პროლეტარიატი ზრუნავს, იმ კანონებზე, რომელიც ყველა მუშისათვის ერთნაირათ საზრუნავი და საბრძოლველია, იმ დედა-ენაზე, რომელზედაც ჩვენი პროლეტარიატი ლაპარაკობს, კითხულობს, გონებრივათ ვითარდება და თავის კლასიურ ინტერესების იგებს? თუ ამაებზე ზრუნავთ ტყვილა შეწუხებულხართ ავტონომიის გამოგონებით. რამდენათაც პროლეტარიატის ძალა დანაწილდება იმდენათ ნაკლებ შეამცირებს ის სამუშაო დღეს ნაკლებ მოიმატებს სამუშაო ჭირას, გაისუფთავებს ბინებს, თავს დაახწევს „ბატონების“ თვითნებობას. რამდენათ უფრო გამოითიშება საერთო მოძრაობიდან, მით ნაკლები ფარგალი აქვს მის მოქმედებას, რაც მის გონებრივ ვითარებას ზღუდავს, ასუსტებს. ეს სისუსტე კი მოასწავებს საკითხავი წიგნების ნაკლებ მოთხოვნილებას, ერთმანერთის საზოგადოებრივ კითხვებზე საუბრის ნაკლებ ინტერესს, ე. ი. დედა-ენა ნაკლებ განვითარებას შესძლებს.

აი რამდენი ვარჩიეთ და კიდევ მეტიც რომ გაგვერჩია ავტონომიას და პროლეტარიატის ინტერესებს ვერ შევარიგებდით. დღევანდელ პირობებში პროლეტარიატისათვის ავტონომია საზიანო და სახიფათოა. ამნაირათ ფარდა აიხადა. ნაციონალისტების ნამდვილი გულის პასუხი ყველასთვის აშკარათ, თვალსაჩინოთ გამომჟღავნდა.

ა. წულუკიძე.

—

P. S. ეს წერილი უკვე დამზადებული მქონდა, როცა ბ.ბ. კალმისა და განის სტატიები დაიბეჭდა «ცნ. ფურც.»-ს 1807 და 2808 №№-ში. ისინი მეტათ გაუჯავრებიათ ჩვენს „უვიცობას“, „უაზრობას“, „გაუგებრობას“ და სხ. ბ. კალამი გვეუბნება, როგორ ვერ გაგიგიათ რომ ავტონომიურათ მართვა-გამგეობის დროს სადამოუნო საზღვრები ჩვენი საქმე არ იქნება, რომ საქონლის დაბაჟვა ჩვენ არ შეგვეძლება, როგორ ვერ შეიტყვეთ ამდენ ხანს, რომ ავტონომიისა და ავტონომიათა კავშირის (ფედერაციის) წინააღმდეგ გამოლაშქრება დემოკრატიის პრინციპის ღალატია და არსად ამას არ ჩადიან დემოკრატებიო. ბ. კალამი ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობს სხვების შეუგნებლობაზე და დღითი დღე მეტ შეუგნებლობას იჩენს, ასეა ყოველთვის: კაცს, რაც სტკივა ის აგონდება. მოვახსენებთ ბ. კალამს, რომ ავსტრალიის კალონიებშიაც ავტონომიური მართვა-გამგეობაა, მხოლოთ ალბერტ მეტენის სიტყვით: «ავსტრალიის სამინისტროებს თავისუფლათ შეეძლოთ ყოველთვის სადამოუნო გადასახადები დაეწესებიათ. თვით მეტროპოლიიდან (ინგლისიდან!) შემოტანილ საქელზედაც“. (Метенъ: Аграрный и рабочій вопросъ въ Австраліи и Новой Зеландіи გვ. 20) ეს ერთი. მეორესაც მოვახსენებთ ბ. კალამს: ავსტრალიის კოლონიები და ტასმანია 1901 წლის ხელშეკრულობით ფედერატიულ განწყობილებაში არიან ურთიერთ შორის და ფედერატიული მთავრობაც აქვთ. წარმოიდგინეთ, ბ. კალამო, ავსტრალიის მუშათა პარტია, იმავე მეტენის სიტყვით, ძალიან ცუდი თვლით უყურებს ფედერატიულ მთავრობას, რადგან, მისი აზრით, ფედარატიული მთავრობა არ არის დემოკრატიული და ყოველთვის გავლენას იქონიებს ადგილობრივ თვითმართველობაზე» (22).... „ამ ჟამათ მის (ფედერაციის) შესაცვლელათ ფართო აგიტაციაა გამართული (იქვე. გვ. 21. შენიშვნა).

ბ-ნი განი იმასვე იმეორებს, მხოლოთ კაუცკის სახელით, გვაშინებს და გვარცხვენს: ეს როგორ არ იცითო? რატომ გონია ბ-ნს განს, რომ «პრავდაში» კაუცკის წერილს ჩვენ ვერ წავიკითხავდით, ეს რა ასეთი უხილავი დოკუმენტია. ვაუწყებთ, ბ-ნ განს რომ კაუცკის მოყვანილი ადგილი სრულიად არ არღვევს ჩვენსას, სულ უბრალო მოსაზრებით: ის ჩვენს ავტონომიაზე და აქაურ პირობებზე არ ლაპარაკობს! ჩვენ არ ვიცით, რას იტყვის კაუცკი ამის შესახებ (გვგონია, თქვენ არ დაგეთანხმებათ) მხოლოთ ჩვენ არც ისეთი ბრმა თაყვანისმცემლები გახლავართ ავტორიტეტების, რომ თუ ევროპაში კაუცკიმ თქვა, უკრიტიკოთ გავიმეოროთ. ჩვენთვის ავტონომია და ფედერაცია დღევანდელ პირობებში მავნებელია—აი მოკლეთ ჩვენი აზრი და ამ აზრის დასარღვევათ ავტორიტეტებსაც საბუთს მოვთხოვთ, უმეტეს თქვენისთანა უფხო მწერლებს.

ავტ.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი“ № 114).

30 აპრილს, სალამოს ათ საათზე, როცა სადგ. მარელისზე მოვიდა საქონლის მატარებელი, თენგინის ბოლკის უნტერ-ოფიცერმა (ეს ბოლკი დაინდგს იცავს) დაიწერა უბილეთო მგზავრი, რომელმაც უთხრა, სადგურ ბელოგორის ახლოს ხიდს ქვეშ ხალხია თავმოყრილი და ხიდის აფეთქებას აპირებსო. საქონლის მატარებლის ობერ-კონდუქტორმაც დასძინა, რომ მატარებელი სადგ. ბელოგორიდან მარელისისაკენ მიდიოდა, გზაში ჩამხტა ხუთი უცნობი კაცი და იმ ხიდს ქვეშ ჩავიდა, რომელიც ამ დაწერილმა მგზავრმა მოიხსენიაო. მგზავრისა და ობერ-კონდუქტორის სიტყვები ტელეფონით გადასცეს სად. ბელოგორის მორიგ მოსამსახურეს და იქ მყოფ სამხედრო რაზმის უფროსს, რომელმაც გაგზავნა ექვსი სალდათი, უნტერ-ოფიცრის უფროსობით, რათა გაეფრთხილათ ხიდს ქვეშ თავმოყრილი ხალხი და, თუ საჭიროება მოითხოვდა, იარაღიც ეხმარათ. როცა სალდათები ერთი ვერსის მანძილზე მიუახლოვდენ ხიდს, გაიგონეს მოახლოებულ მატარებლის გამაფრთხილებელი სტვენა. სალდათები ჩამხტარიყვნენ დაინდგს და დაინახეს, რომ მატარებელმა სიარული უკვე და გაჩერდა. სალდათები სიჩქარით წავიდენ წინ, 200 ნაბიჯის მანძილზე მიუახლოვდენ ხიდს და დაინახეს დახლოვებით ას კაცისაგან შემდგარი ბრბო და შორიდან დაუყვირეს—«დაიშალენით, თორემ თოფს გესვრითო». სალდათები 150 ნაბიჯზე მიუახლოვდენ ხიდს. მთვარიანი ღამე იყო. კარგადვეთ დაინახეს მდინარე დაბარნის ნაპირზე თავმოყრილი ხალხი და კიდევ დაუყვირეს, «დაიშალენითო». ბასუხათ ხალხიდან თოფი გავარდა. მაშინ უნტერ-ოფიცერმა უბრძანა სალდათებს სროლა დაეწყოთ. ამის შემდეგაც ხალხი ერთბაშათ არ დაიშალა. მხოლოთ მაშინ გაიფანტა, როცა სალდათებმა დაუხშარეს თოფის სროლა. თოფებით შეიარაღებული სამი კაცი შეხტა ვაგონის ბალტფორმაზე, გადმოვიდეს იქიდან კონდუქტორი და გაიქცენ.

სრულა რომ შეწუდა, ამოჩნდა მოკლული სამი ადგილობრივი გლეხი და შვიდი მსუბუქათ დაჭრილი, მათ შორის ორი ადგილობრივი რემონტის მუშა და ერთი მძიმეთ დაჭრილი ბაქოს სადგურის ბაგაჟის კონდუქტორათ ნამუშევი. გარდა ამისა, სალდათებმა დაჭრეს 5 კაცი; მათ შორის სამი ადგილობრივი გლეხი და ორი გლეხი (ძმები) შორაპნის მაზრის სოფ. სერბაისადან.

სხვა და სხვა ამბები.

5 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე თფილისში ჩამოვიდა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც უკვე თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

—

23 მაისისთვის გადაწყვეტილია შედგეს ტფილისში გუბერნიის ადგილ-მამულის პატრონთა საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნება აგრარული საკითხი.

—

ტფილისის სასამართლო პალატას გადაეცა განსახილველათ საქმე იმ პოლიტიკურ დემონსტრაციის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 23 იანვარს მოხდა გოლოვინის პროსპექტზე, „როსიას“ სასტუმროსთან. სამართალში მიცემული რაჟის მაზრის მცხოვრები ილია კერესელიძე. მას ბრალსა სდებენ სისხლის სამართლის დებულების მე-121-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით. ხსენებულ მუხლის ძალით სჯიან ისეთ ყრილობაში მონაწილეობის მიღებისთვის, რომელიც განზრახ იყო გამართული უმაღლეს მთავრობის უპატივცემულობისა ანა და არსებულ მართვა-გამგეობის გაკიცხვის გამოსაცხადებლათ. ბრალდებულს იცავს ნაფიცი ვექილი მ. ო. გრუზენბერგი. საქმეს 4 ივნისს გაარჩევენ.

—

სოფ. ახალქალაქიდან იწერებიან: ამ დღეებში აქაურმა „ურიადნიკ“-მა ერთი ინტელიგენტი დაატუსაღა, რადგან აგიტატორათ მიიღო. ერთს დღეს ტუსაღი სოფელში ყავდა დამწყვდეული, ხოლო მეორე დღეს სოფლიდან გორაში მიყავდათ ადმინიცსტრაციისათვის გადასაცემათ. გასცდენ თუ არა სოფელს, თორმეტი გლეხი კეტებით შეიარაღებული, თავს დაესხენ და ინტელიგენტი გაანთავისუფლეს. ბევრი გლეხთაგანი გაქცეულია, რადგან ამ საქმის გამო დიდი გამოძიება სწარმოებს.

—

სასულიერო მთავრობამ ეპარქიალურ ეპისკოპოსისაგან ცნობა მიიღო, მღვდელი სერაფიონ დადუნაშვილი საზღვარ გარეთ წავიდა და მღვდლობიდან გადაყენებას თხოულობსო. სერაფიონ დადუნაშვილი ახლა ჟენევის უნივერსიტეტში სწავლობს.

—

2 მაისს, როდესაც ტრამვაის მოქმედება განახლდა, მოსამსახურეებს მოერთოთ ვაგონი ყვავილთა ხვეულებით და გამარჯვების ნიშნათ, „ურა“-ს ძახილით გაიარეს ქუჩები. ამავე მორიგების ნიშნათ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელებმა და მოსამსახურეებმა საერთო სურათი გადაიღეს.

—

როგორ „ტ. ლ.“ სწერენ, ამ დღეებში სოფ. გერმისხევს (დუშეთის მაზრის) 10 კაცი შეუპყრიათ. ადმინისტრაციის აზრით, ესენი ახლო-მახლო სოფლების მოძრაობის მოთავენი არიან.

—

ყვირილიდან იწერებიან ამ დღეებში ყვირილის მახლობლათ მრავალრიცხოვანი ყრილობა ყოფილა. კრებას ექვსი ათას კაცზე მეტი დასწრებია..

3 მაისს, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა მეეტლეთა კრება. თავიანთი მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლათ. კრებამ დაადგინა მოითხოვოს: 1 სრულიათ გაუქმდეს ნიხრის მიმოსვლაზე; 2 შეეწეროთ ნიხრის ფული პირველ ხარისხის მეეტლეებს — 5 მანეთი, მეორე ხარისხისას — 3 მან. 3 გაუქმდეს გადასახადი მესამე და მეხუთე ცხენზე; 8 სრულიათ ეპატრონ მეეტლეებს უკანასკნელ 10 წლის ნედლიმკები; 5. განთავისუფლდენ მკვდრებისა, დაჭრილებისა, გადამდებ სენით ავადმყოფებისა და მთვრალ ხალხის გადაყვან-გადმოყვანისაგან და 6 თუ ვინიცობაა ყველა ეს მოთხოვნილება არიქნება მიღებული, მეეტლეები გაიფიცებიან. კრებამ დაადგინა, შესწყვიტოს მუშაობა ხუთ მაისს.

—

4 მაისს, ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს აიძულონ მეეტლეები უსათუოდ გამოვიდნენ სამუშაოთ.

—

ქუთაისში 5 მაისს, ამბავი მოვიდა ლეჩხუმში პოლიციამ თავადები ლევან დადიშქელიანი და პლატონ ახვლედიანი დააპატიმრაო, ამ ამბით აღელვებული ხალხი მაზრის უფროსთან მისულა და დაპატიმრებულთა განთავისუფლება მოუთხოვია. ჯერ ჯერობით არ იციან საქმე რით გათავდა

—

უფა, 3 მაისი. ქალაქის ბაღში, წარმოდგენის ანტრაქტის დროს, მძიმეთ დასჭრეს რამდენიმე ტყვიით გუბერნატორი საკალოვსკი.—დამნაშავე მიმალა.

—

პეტერბურგი, 30 აპრილი. დღეს დენშჩიკმა სამჯერ ესროლა რევოლვერი და მოჰკლა თავის სახლში ვიცე-ადმირალი ნაზიმოვი. მკვლელი დატუსაღებულია.

—

კიევი, 30 აპრილი პოლიტეხნიკუმის სტუდენტის სადგომში აღმოაჩინეს ბომბის საკეთებელი.

—

საიდუმლო სტამბა ბაქოში. შარშან, ოქტომბერში, თფილისის სამოსამართლო პალატამ გარჩია შემდეგი საქმე. მღვდლის შვილს გაბრიელ ხუნდაძეს (26 წლ.), ქუთაისის მოქალაქეს ივანე არლოვს (25 წლ.) და გლეხს მიხეილ შჩელჩკოვს ბრალდებოდათ საიდუმლო საზოგადოების დაარსება სახელწოდებით „ბაქოს კომიტეტი კავკასიის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ კავშირისა“. კავშირის მიზანი იყო დღევანდელ სახელმწიფო წეს-წყობილების დამხობა. ბრალდებულთ გამართეს ბაქოში ფარული სტამბა, სადაც ბეჭდავდენ პროკლამაციებს და ავრცელებდნენ ბაქოში.

26 აპრილს სენატმა სააპელაციო წესით გაარჩია ეს საქმე და გამოარკვია შემდეგ გარემოებანი. 1903 წ. 29 დეკემბერს ბაქოს უბნის ზედამხედველი თავ. მიქელაძე ეწვია ადგილობრივ მცხოვრებს კოვალიევს პასპორტის გამოსართმევათ. კოვალიოვი შინ არ დაუხვდა და იმისმა ნათესავმა ქალმა უთხრა, ჩვენ სახლში ამას წინეთ ოთახი დაიჭირა ერთმა ახალგაზდა კაცმა, გვარათ ცახნაკიძემაო. მიქელაძე შევიდა ამ ახალგაზდა კაცის ოთახში და ვინაობა კითხა. პასუხათ მიიღო, ზუგდიდის მაზრის სოფ. აკეთის გლეხი ვარო. მიქელაძემ ეჭვი მიიტანა ცახნაკიძეზე, იცოდა რომ ს. აკეთი გურიაშია და არა ზუგდიდის მაზრაში. ხელ-მეორეთ მოვიდა კოვალიოვის სახლში და დაინახა სახლის წინ გაჩერებული ეტლი, რომელშიაც ცახნაკიძე და ხუნდაძე სჩქაროთ რაღაც ნივთებს სდებდენ. ხუნდაძეს პირადათ იცნობდა მიქელაძე, როგორც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ იურიევის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ცახნაკიძის ნამდვილი გვარი არლოვი ყოფილა. პოლიციამ გაჩხრიკა ეტლი და არლოვის ოთახი და აღმოაჩინა სტამბის სხვა-და-სხვა ნაწილები და მრავალი პროკლამაცია. სხვათა შორის, ერთ პროკლამაციაში მოწოდება იყო ვრცელი თავისუფლების მოსაპოვებლათ. გაჩხრეკის დროს იპოვეს მრავალი ხელნაწერი, უმთავრესათ ხუნდაძის ხელით დაწერილი, მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსისა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ არლოვთან ხშირათ დადიოდა ერთი ახალგაზდა კაცი ებრაელის ტიპისა, გვარათ შჩელჩკოვი, რომელიც

პასუხის გებაში იქნა მიცემული. თფილისის სამოსამართლო პალატაში საქმის გარჩევის დროს ბრალდებულთ არ იცნეს თავი დამნაშავეთ. ხუნდაძემ განაცხადა სასამართლოში, თუმცა რევოლიუციონერი ვარ, მაგრამ ბაქოს კომიტეტთან არაფერი მაქვს საერთო. იმ კომიტეტის ერთმა წევრმა სტამბა გადმომცა და მე მსურდა მესარგებლნა ამ სტამბით, რათა გამეგრცელებინა ის აზრი, რომ საჭიროა მუდმივი ბრძოლა მთავრობასთან. ჩემ მოქმედებას დანაშაულობათ არ ვთვლი და თავმჯდომარის კითხვა, დამნაშავეთ ცნობ თავს თუ არაო, შეურაცხყოფათ მიმაჩნიაო. ხუნდაძის სიტყვით, არლოვს სტამბის სამუშაოში მოანწილეობა არ მიუღია. შჩელკოვმა დაამტკიცა, რომ 1903 წ. დეკემბერში ბაქოში არა ყოფილა. სამოსამართლო პალატამ გაამართლა იგი.

ორი დანარჩენი ბრალდებული დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა ხუნდაძეს—უფლებათა ჩამორთმევა და გადასახლება და არლოვს—6 თვით დატუსაღება. სენატში დაამტკიცა ფფილისის პალატის განაჩენი („რუსი“

კორრესპონდენცია

ქიზიყი. სიღნაღის მომრიგებელ შუამავლის ჯორჯაძის წინადადებით 27 აპრილს მოწვეულ იქმნენ ქიზიყის უოველი სოფლებიდან ოთხ-ოთხი ამორჩეული პირი სოფ. ქვემო მაჩხაანში, რომელთაც უნდა გამოერკვიათ ქიზიყელთა წყინ-ვარამი, და ამ კრებაზე უნდა შეემუშავებიათ თავიანთი მოთხოვნების პროგრამა. კრება მოხდა სოფლის კანცელარიაში, სადაც დაითხოვეს რაიონის უველა მოხელეები ისე მომრიგებელ შუამავალი და სიღნაღის მარშალი ჩათვლით. ბევრი სჯა ბაასის შემდეგ კრებამ დაადგინა:

1) უველა ის საეკლესიო მამულები, რომელიც სახსაზინოთ ირიცხება, აგრეთვე მთელი ქიზიყის სახემწიფო მიწები: სახნავი, სათიბი, საძოვარი, და ამ მამულებში მოტანებული ტეუები, გარდაეცეს ქიზიყის საკუთრებათ. ამასთანავე უნდა მოისპოს ის კანონი, რომელიც არ აძლევს ნებას ხალხს ისარგებლოს მამულებით ისე, როგორც თვისი საკუთრებით. რადგანაც მიწა იქნება ხალხის საკუთრებათ აღიარებული, ამისათვის უნდა მოისპოს საერთოთ სხვა გარდასახადებ.

2) მოისპოს პირდაპირი და არა პირდაპირი გარდასახადი სახმარ ნივთიერებზე, ესე იგი ბაჟი, მაგ.: არაყზე, სპიჩკაზე, თამბაქოზე, ჩაი-შაქარზე და სხვა. დაწესდეს გადასახადი შემოსავლის კვალობაზე; ვისაც წლიურათ 500 მ. ნაკლები შემოსავალი აქვს, იმას არაფერი გადახდეს.

3) სოზოგადოებას დაუბრუნდეს მადნეთის ფულები თავის სარგებლოთ სოფლის საჭიროებაზე მოსახმარათ.

4) გაუქმდეს წოდება და წოდებრივი უპირატესობა; დამყარდეს სრული თანასწორობა უველასი კანონის წინაშე. ერთი სიტყვით, მოისპოს სიტყვა: თავადი, აზნაური, გლეხი; უველა უნდა იქმნას ადიარებული მოქალაქის სრული უფლებებით. გზების, წყლების და სხვა სამუშაოზე უველანი უნდა გამოდიოდენ.

5) გაუქმდეს შედმივი ჯარი და შემოღებულ იქმნას მილიცია, ე. ი. საოგადოთა შეიარადება საჭირო დროისათვის.

6) შემოღებულ იქმნას საოგადოთა, სავალდებულო უფასო სწავლა 16 წლამდის როგორც ვაჟების, ისე ქალებისათვის. გარდა ამისა, საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი, ხელმისაწდომი იყოს უველასათვის. დარიბ მოწაფეებს სახემწიფოთ მიეცეს სასწავლო ნივთები, საჭმელ სასმელი, ტანისამოსი და ბინა.

7) დაწესდეს ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა: მსაჯულები არჩეულ იქნენ ხალხის მიერ. მოხელის პასუხის გებაში მიცემა შეეძლოს კერძო-პირს ნაფიც მსაჯულების წინაშე რაიმე ბოროტ მოქმედების ჩადენისათვის.

8) უკლესა უნდა გაშორდეს სახემწიფოს და სკოლა ეკლესიას. სამღვდელოებას მოესპოს ხაზინიდან ჯამაგირი და კოდი პური მრევლიდგან. ამის-ნაცვლათ დაენიშნოს მიცვალებულზე 1 მ. ჯვარის წერა 2 მ.

9) მოისპოს სტრაჟნიკები;

10) დამყარდეს თავისუფლება სიტყვის, წერის, კრების, გაფიცვის, მიწურ-მოწერის. ადამიანის ხელშეუხებლობა და ბინა უნდა იყოს.

11) მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება. წარმომადგენელი ამ კრებაში უნდა იქმნას ხალხის მიერ არჩეული; ფარული საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი კენჭის ყრით.

კრების დასასრულ, მოწვეულ იქმნენ მომრიგებელი შუა მავალი და მარშალი, რომელთაც წაუკითხეს კრების დადგენილება.

რუსეთის ქრონიკა

სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრების გამოეთეშა მარქსისტების ჯგუფი, რომელიც ვერ შეეთანხმა დანარჩენ ელემენტების ბურჟუაზიულ-დიბელარულ აზრებს. კრებამ უსაყვედურა ასეთი საქციელი ზემოხსენებულ ჯგუფს, რადგან უკანასკნელი თავის გამოცდილებით მათი აზრით ასუსტებდა ინტელიგენტთა ძალას. ამის შესახებ გაზ. ,,კომმერს. რას.“ შემდეგს წერს:

უახლოესი მიზანი მარქსისტებისა და უკიდურეს მემარცხნე დიბერალებისა უმეტეს ნაწილათ ერთი და იგივეა. თუ რომ დიბერალები ნათლათ, გარკვეეთ ადნიშნავენ თავიანთ დროშაზე მოქალაქეთა საყოველთაო თანასწორობას და საყოველთაო, პირდაპირ, სადუმლო და თანასწორ არჩევნების უფლებას, მარქსისტები რასაკვირველია მხარს მისცემენ მათ და დროებით შეთანხმდებიან კიდეც მათთან, რათა უფრო ადვილათ მიაღწიონ საზოგადო მიზანს.

მარქსისტების პარტია მუშათა კლასის ინტერესების წარმომადგენელია. იმისი თვალთა ხედვის ასარი კლასობრივი თავისებურობაა; უპირველეს ყოვლისა პარტია სხვა და სხვა კლასთა ინტერესების განსხვავებას აქცევს ყურადღებას; ის არკვევს პროლეტარიატის პარტიისთვის დამოუკიდებელ ორგანიზაციის აუცილებლობას და ამ პარტიის თავისებურ ტაქტიკას. დღევანდელ მეკობრეობაში მან უნდა დაიხსნას პროლეტარიატს მომავალი მტერი და მოწინააღმდეგე. მას კარგათ ახსოვს, რომ პროლეტარიატს არა ერთხელ გაუწირავს თავი, დაუნთხევია სისხლი და მერე რა გამოსულა აქედან: **სახელი** პროლეტარიატისა და **სახრავი** კი **სხვისი**. ამისათვის მუშათა კლასმა აქედანვე უნდა უზრუნველ ყოს მომავლისათვის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას გაუადვილებს სასწარმოო ორდათა მწარმოებლების ხელში გადასვლას.

ამ ნაირ პირობებში მარქსისტ ჟურნალისტებს, რასაკვირველია, არ შეუძლიათ ჟურნალისტთა საერთო კრებაზე სხვებს ხელი გაუწოდონ და ამავე დროს თავის კლასობრივი პოზიცია შეინარჩუნონ სოციალდემოკრატიული და პოლიტიკური კითხვების განსჯის დროს. ეს იქნებოდა მათი მხრით თავის ბრინციპების უარეოფა. ასეთ ,,დათმობას“ მათ ვერავითარი შეგნებული ჟურნალისტი ვერ ურჩევს.

ის კი არა, სანამ ჩვენი პროგრესიული პრესა ორპირი არჩევნების სისტემას და ხალხის წარმომადგენელთათვის. ორ პალატას ქადაგობს, დროებითი შეთანხმებაზე დაპირაკიც მეტია მარქსისტების მხრით.

გაზეთი დასძენს:

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამხანაგების შეურეველობას ჟურნალისტთა უკანასკნელ კრებაზეც.

—

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში სხვათა შორის ქ. ლოძეში მომხდარი სისხლის დვრაც გვქონდა მოხსენებული. უწესოება ლოძეში 17 აპრილს დაწყებულა. ამ დღესვე, ერთ ადგილას, რევოლიუციონერთა გროვა, რომელსაც წითელი დროშა აეფრიალებია ჭაერში, გარს შემოერტყა გაზახ-რუსების პატრულს და ქვები და რეოლვერები დაუშინა. კაზაკებმა თოფი გაისროლეს და დაჭრეს 4 კაცი.

ამავე დღეს მძიმეთ დაუჭრიათ ბრისტავი კურიანკო; 18 აპრილს უფლის ფაბრიკები და მადზაები დახურული იყო. ქუჩებზე ათასობით ირეოდა ხალხი. აქა იქ წითელი დროშები მოჩანდა. ბევრ ადგილას შეტაკება მოუხდა ხალხს პოლიციასთან, განსაკუთრებით ქუჩაზე ხალხის მხრით მოკვდა სამი კაცი, დაიჭრა მეტი. $4^1/_2$ საათზე ერთ ერთ ქუჩაზე შეკრებილ მრავალი კაცი სიმღერით და კიჟინით. გამოეცვანეს ჯარი და სროლა უბრძანეს. მოკლეს ერთი ქალი, მუშის ცოლი ბარტახინსკაია და დაჭრეს მუშა ქალი ვერონიკა ბისტროვსკაია. 9 საათზე. ხალხის და პატრულის შეტაკების დროს დაიჭრა ერთი ქალი. 19 მაისს სასიკვდილოთ დაქოლეს ქვით პოლიციის ზედამხედველი კამინსკი, მძიმეთ დასჭრეს ოკოლოტოჩნიკი გონიატოვსკი. საზოგადოთ, ამ ორი დღის განმავლობაში დოჟმი მოკლეს 7 კაცი და დაჭრეს 20-მდე.

—

შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების შეთანხმებით 15 აპრილს გაუქმებულ იქნა 1897 წ, 12 აგვისტოს გამოცემული ცირკულიარი გუბერნატორებისადმი, რომლითაც უფლებდათ აკრძალული იყო შეშების ყოველგვარი კრებები და გაფიცვები, ხოლო გაფიცულები იგზავნებოდენ ან სამშობლოში, ანიმ ადგილებში სადაც მიწერილი იყვნენ; გაუქმდა აგრეთვე იმავე წლის 8 აპრილს გამოცემული ცირკულიარი, რომლითაც ინსპექტორების წინადადება ეძლეოდა, გაეკონათ ექონათ გაფიცულ მუშებზე, რათა მუშობა დაეწყოთ (ბ. გ.).

—

13 აპრილს დოჟში ვაზახ რუსებმა, რომელნიც ძოფეულობის აქტ. სახოგადოების ფაბრიკის იცავდენ, კონტორის კარები შეამტვრიეს, შეიჭრენ გატეხეს და გაცარცვეს 5 კასსა, რომლის ფული, სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმეებისთვის იყო დანიშნული (კ. გ.).

—

დაბა ვორონეჟში მდგელი მ. ს—ვი ეკლესიაში ამჟონიდან ამტკიცებდა, რომ „ბუნტს“ რუსეთში იაპონიის მაერ მოსეიდული ხალხი იწვევსო. ის ემუდარებოდა მრევლს, ნუ წაიკითხავთ ნურც —ერთ გაზეთს, რადგან მათ მთავრობის და ეკლესიის მტრები წერენო. (ს. ზ. კ.).

—

არეულობა, რომელიც 21 აპრილს დაიწყო სიმფეროპოლში ჩაქრობილ იქმნა ჯარის მოქმედების საშუალებით (ვ. ს.).

—

18 აპრილს დოჟის ფაბრიკებში მუშობა დაიწყო, მარა 11 საათზე უფლებან შესწყდა, მადზაები დახურეს, ტრამვაი შეაჩერეს.

(რ. ს.).

—

პეტერბურგში ადმინისტრატიული წესით დატუსაღებულთა რიცხვი ამ უკანასკნელ კვირაში მეტია, ვიდრე მთელ მარტში იყო. დაჭერილთა უმრავლესობას მუშები და მოსწავლე ახალგაზდობა შეადგენს.

—

ამ ბოლო დროს პოლიციის და ჟორონეჟის გუბერნიებშიაც იჩინა თავი გლეხების მოძრაობამ. გაიგზავნა ჯარი ხალხის დასამშვიდებლათ. (ვ.).

—

26 აპრილს პეტერბურგში, ქალაქ გარეთ მუშებმა მიტინგი მოახდინეს. მიტინგს უყურება ხალხი დაესწრო. მრავალი სიტყვა წარმოითქვა. გადაწყვიტეს დაუყონებლივ მოითხოვონ დამფუძნებელი კრების მოწვევა, საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი არჩევნების უფლება, იმის ეხლავე შეწყვეტა და რვა საათის სამუშაო დღე.

(რ. ვ.)

—

18, 19 და 20 აპრილს კალიშში დიდი დემონსტრაციები მოხდა. 18 აპრილს, დამე, ქალაქის ბაღში დემონსტრანტები შეაკავარეს. კრების შემდეგ დემონსტრანტები ყვირიდენ, სრულიად უცნაო სიმღერებითა და რევოლვერების სროლით ქალაქის მთავარ ქუჩებისკენ გაემართენ. რადგან პოლიციამ წინააღმდეგობა იცოდა, რომ ბაღში კრება იყო, ამიტომ ჯარი დაიბარა, დემონსტრანტებს გზები მოუჭრა და შუაში მოიწყვედია. საბანელოში სროლა ასტეხა, დემონსტრანტებმა მოახერხეს და პოლიციის თავი დაადწიეს. 19 აპრილს ხმა გავრცელდა, პოლიციამ კათოლიკეთა ეკლესიის თოფები დაუშინა, წაბილწოთ და სხვა. ამ ამბავმა მთელი ქალაქი აალელვა. იმავე დროს გუბერნატორმა ქალაქში განცხადება გაავრცელა: მართალია, ეკლესია დაზიანდა, მაგრამ ვინ დაზიანა, პოლიციამ თუ დემონსტრატებმა, ამის გამოკვლევა ჯერ-ჯერობით შეუძლებელიაო. სალამოზე ეკლესიასთან ურიცხვი ხალხი შეიკრიბა. წირვის შემდეგ ხალხი ორ ჯგუფათ გაიყო: ერთი ჯგუფი წმ. იოსების ძეგლთან მივიდა, მეორე—სარეკოლიუციო სიმღერების ქალაქისკენ გაემართა. მღვდლებს, გუბერნატორის ბრძანებით, ხელი არ ახლეს, დემონსტრანტები კი, მცირე შეტაკების შემდეგ, გაფანტეს.

(ს. ო.)

—

ჟატომირში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის შესახებ პეტერბურგში ცნობები მიუღიათ; 1) ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ 40 კაცი მოკლეს და 100 დაჭრეს. რამდენია მათ შორის ებრაელი, არ იციან; 2) ქალაქის დაცვა დივიზიის გენერალმა იკისრა. არეულობა ქალაქის განაპირა ადგილებში ჯერ არ შეჩერებულა. ეშინიათ, რამდენსმე დღის შემდეგ სულიგანები ხელმეორეთ დაეცემიან ებრაელებსაო; 3) 26 აპრილს, დილით, ჟატომირში ომაიხობის დროის წესები შემოიღეს. 27 აპრილს დახოცილთა სულის მოსახსენებლათ პანაშვიდები გადაიხადეს. ქალაქში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ვარშავის გუბერნიაში, დაბა კოსტინაში, ებრაელები აუკლიათ. ბევრი სახლი აიკლეს და დაანგრიეს. დაჭრილები და დახოცილებიც არიან. ერთი ქალი მხეცურათ აწამეს.

(ს. ო.)

—

მელიტოპოლში მომხდარ აკლების დროს მოკლულ იქნა 75 კაცი. დაჭრილთა რიცხვი არ იციან. დახოცილთა შორის სალდათებიც არიან. სახლების სახურავებიდან და აივნებიდან ჯარს უშიარებს ესროდენ. სალდათები თოფებს ხმარობდენ. ჯარს ხულიგანები უშურდენ მხარს და იმ სახლებს, საიდანაც რევოლვერებს ისროდენ, საძირკვლიანათ აქცევდენ. სახლებს დომებიო ანგრევდენ და მცხოვრებთა წივილ-კივილი ცასა სწვდებოდა. ბევრი ულანაშაულო ქალი, კაცი და ბავშვი გამოესალმა წუთი-სოფელს.

(რ. ვ.)

—

ვარშაველებმა გადაწვიტეს ყოველი დღე გაიდრიოთ და ხალხს პოლიციისგან თავის დაცვის საშვალება მივცეთო.

—

25 აპრილს ქ. დოჟში, ერთი მღებავის იატაკ ქვეშ პოლიციამ უყუმბარები და იარადი აღმოაჩინა.

უცხოეთის ქრონიკა

გერმანია. როგორ უყურებს მილიტარიზმს ბრილიანტარიატი? გზ. «კომერს. რას.» ნათლათ არკვევს ამ კითხვას.

გერმანიის რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატების პარტია ყოველ წლობით ბრილიანტს აცხადებს სამხედრო საქმეებისათვის ფულის გადადების წინააღმდეგ. გერმანიის ბრილიანტარიატის სახელით აცხადებს ის, რომ ვერ შეურიგდება ჯარზე და ფლოტზე ხარჯის ასეთ ზრდას.

თავის minimum ბრილიანტში, პარტია ითხოვს შემდეგი ჯარის მოსპობას და სახალხო მილიციის დაარსებას. გერმანულ

იუნკრებს არ მოსწონთ სოციალ-დემოკრატების საქციელი და მამულის სიყვარულის უქონლობას უკაენებენ მათ.

თუმცა ბროლეტარიატი თავისუბურათ უცქერის მიდიტარიზმს, მარა ეს ამას არ ნიშნავს, თითქო მას მამული არ უყვარდეს.

გერმანიის ს.-დემოკრატთა ბელადი ბებელი, რომელიც წინეთ უბრალო მუშა იყო, ამბობს: იმ შემთხვევაში, თუ რომ სამშობლოს ნამდვილი განსაცდელი მოელის, პირველი მე ჩავდგები მამულის დამცველთა რაზმშიო. მარა ბურჟუაზიის მტაცებელ ინტერესების დაცვა მამულის დაცვათ რადი მიაჩნია ბროლეტარიატს.

ნამდვილი პატრიოტიზმი, მუშების აზრით, უფლებებით აღჭურვილ ექსპლოატირთა მცირე გუნდის დაცვა რადაა, არამედ იმ სახლის დაცვა, რომელშაც ომების მთელი გასავარი თითონ უნდა გადაიტანოს, მრავალი მილიონი ჯარი უნდა შეინახოს თავის შრომით შეიდობიან დროს რომ სახსარხოთ. მიდიცია ბევრათ უმჯობესი აქმნება ახლანდელ ჯარზე,—ამის დასამტკიცებელ სიბუთათ თუნდ ბურების და ინგლისელების ომია სკმაო.

ინგლისელების მუდმივმა ჯარმა მთელი ორი წლის განმავლობაში ვერ შეარეცხა ერთი ნამცეცი ხალხის გონიერი წინააღმდეგობა. თავისუფლების მოხვების სურვილით აღფრთოვანებული ბურები, წამ და უწუმ ამარცხებდენ ინგლისელებს, სანამ უკანასკნელთა უთვალავმა ჯარმა წელში არ გასტეხა ერთი მუჭა ხალხი.

შინაური მიმოხილვა

ამას წინეთ ერთი დაუჯერებელი ამბავი გავრცელდა ჩვენში. იმ დროს, როცა ყველანი გაფაციცებით თვალს ადევნებდენ იმ დიად მოძრაობას, რომელიც ერთნაირათ მოსდებოდა იმერ-ამერის გლეხკაცობას, ხმა გავრცელდა, რომ გორის მაზრაში შედგა თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფი, რომელიც თავის დაცვის დევიზით დღევანდელ მოძრაობის წინააღმდეგ ილაშქრებსო. ეს ხმა პირველათ ყრუთ გაისმოდა. შემდეგ გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, რომ ასეთი ჯგუფი მართლა არსებობსო. წარმოიდგინეთ ჩემი გულუბრიყვილობა, რომ მე ეს მაინც არ მჯეროდა. მაგრამ რომ კაცმა იკითხოს, რა იყო აქ დაუჯერებელი, ან გასაკვირველი? გლეხების დღევანდელი მოძრაობა ერთი მხრით მიმართულია მემამულეების წინააღმდეგ. თუ რისთვის არის ეს ასე, ამის განმარტებას მკითხველი ჩვენ აქ არ მოგვთხოვს, რადგანაც ეს დღეს საკმარისათ გამორკვეულია. აშკარაა, თავად-აზნაურობა, როგორც მიწათ-მფლობელთა კლასი თანაგრძნობით ვერ მიეგებებოდა ამ მოძრაობას. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ თავად აზნაურობა წინააღმდეგობას გაუწევდა მას, შეეცდებოდა თავის ნივთიერი ინტერესების დასაცველათ მისთვის მავნე მიმართულების აღმოფხვრას. როგორც ხედავთ, აქ არაფერი გასაკვირველი და დაუჯერებელი არ არის, მაგრამ ჩვენ ურწმუნოებას ფარდა ახადა ბ-მა ლ. არავინმა (გაზ. «Нов. Обоз.»-ში). როგორც მისი წერილიდან ჩანს ქართველ აგრარიების დასს „მოუკრებია ადგილობრივათ უსაქმოთ მოხეტიალე ხუნხუზები და გამოუწყვია ეგრეთ წოდებულ «თავად-აზნაურთა დრუჟინა», 700 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ბელადობს უნივერსიტეტში კურს დამთავრებული პირიო". და ეს ვაებატონი თურმე მათრახით ხელში, მაწანწალა ბრბოს თანხლებით, დაძრწის ქართლის ქალაქებსა და დაბებში და შიშის ზარსა ცემს ადგილობრივ უწყინარ და მშვიდობიან მცხოვრებლებსო. გლეხების დამშვიდების სახელით ეს დაუპატიჟებელი ბაში-ბუზუკები ზოგიერთ მემამულეებთან ერთათ, ისეთ საშინელებას ახდენენ, რომ გულ-ქვა აღა-მაჰმადხანის შემოსევას ფერი უკრთება მასთან შედარებით". აქ მოთხრობილი ამბები რომ სიმართლეს მოკლებული არ არის და არც გაზვიადებულია, ამას ამტკიცებს იმავე გაზეთში («Нов. Обоз.» № 98) თვით თავად-აზნაურობის „დრუჟინის",—ერთი წევრი ბ-ნი გ. მაჩაბელი, რომლისთვისაც სიტყვა მაწანწალა და ბაში-ბუზუკი დათ სანაქებო რამ ყოფილა. დასახელებული ვაებატონი მხოლოთ უფრო დაწვრილებით გაგვიმარტავს ამ ახირებული „დრუჟინის" ორგანიზაციას, რომელსაც სახელათ ამიერიდან ერქმევა **„გორის მაზრის თავად-აზნაურთა ურთიერთ დახმარების საზოგადოება"**, რომლის წევრათ ყოფნა შეუძლია ყველას, ვინც-კი თანაუგრძნობს იმათ მიერ შემუშავებულ პროგრამას. ბ-ნი გ. მაჩაბელი აცხადებს, რომ ჩვენში გაჩნდენ ისეთი პირები, რომლებიც თავად-აზნაურობასა და გლეხ-კაცობას შორის შუღლსა და განხეთქილებას თესავს, რომლებსაც ჩვენ ხალხთან არაფერი საერთო არა აქვთო გარდა იმისა, რომ ხალხს უქადაგებენ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ძალ. მომრეობის ხმარებას და იმათ მამულ-დედულის და სახლ-კარის გადაბუგვასო, ვითომ ჩვენ, თავად-აზნაურობა, ვიყვნეთ იმათი გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზიო. იმის მაგივრათ, რომ ხალხის პროპაგანდისტები შესულიყვენ «ქართველი თავად-აზნაურობის გაჭირვებულ მდგომარეობაში, იმის მაგივრათ, რომ იმათ გლეხ-კაცობასა და თავად-აზნაურობაში ძმობა-ერთობაზე ექადაგებია, ისინი გამოსულან და ხალხს აგონებენ: გააძევეთ თქვენგან თავად-აზნაურობა, რომელიც მთელი მცხოვრებლების ერთ მეათედს შეადგენს, და იმავე დროს ისეთ ნაწილს, რომელიც, როგორც უნდა თქვათ, დღევანდელ პირობებში ყველაზე უფრო კულტურული და ძლიერი ელემენტიაო». ამ მიზნით გორელ თავად-აზნაურობას შეუდგენია „ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება», რომლის წევრები შეიარაღებულან, სოფელ-სოფელ დაძრწიან და «ხალხის დამშვიდების" სახელით ცეცხლითა და მახვილით უპირებენ გასწორებას იმათ, ვინც დაჩაგრულ ხალხს გონებას უღვიძებს. ბ-ნ გ. მაჩაბელმა კარგათ აცის, რომ ეს პირები დაწვას და განადგურებას არ უქადაგებენ ხალხს; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი უარყოფდენ იმ განხეთქილებას, რომელიც თავად-აზნაურობასა და გლეხკაცობას შორის არსებობს. თქვენ დღეს სწორეთ ის გაწუხებს, თუ რათ დაირღვა წინანდელი დამოკიდებულება, როცა გლეხკაცობა თქვენი ყურ-მოჭრილი მონა იყო და რაც გსურდათ, იმას აკეთებინებდით. აი რამ აგაშფოთათ, აი რამ აგამხედრათ თქვენ. აბა ერთი დაგვისახელეთ, როდის იყო, რომ თქვენ ძმობას და სოლიდარობას უცხადებდით გლეხ-კაცობას! ასეთ—პირბადის ახვევა თქვენ, როგორც რაინდული წოდების წარმომადგენელს, არ შეგშვენით. ამიტომ უმჯობესია პირდაპირ აღიაროთ, თუ რა გსურთ თქვენ, რისთვის შეგიდგენიათ ეს ახალი „დრუჟინა" 700 კაცისაგან? ძმობა-ერთობის მქადაგებელი და ის, ვინც გლეხებს „ძმებს" უწოდებს ასეთ იარაღს არ მიმართავდა. ამის შემდეგ რაღა საფუძველი აქვს თქვენ საყვედურს ბ-ნ ლ. არავინის მიმართ, რომ მას თავის ვინაობა დაუფარავს. ის თავის ვინაობას ფარავს, სამაგიეროთ ჰეშმარიტებას და სიმართლეს ამჟღავნებს. თქვენ კი, თუმცა თავის ვინაობას არ მალავთ, მაგრამ საქმის ნამდვილ ვითარებას ფარავთ. მკითხველმა გაასაჯოს, თქვენი თუ ბ-ნ არავინის საქციელია გასაკიცხი და დასაგმობი! მაგრამ რას ვამბობ. ბ-ნ გ. ვ. მაჩაბელს ამაშიაც ჩინებული და საუცხოო მოსარჩლე და მიმბაძველი ყავს; ეს გახლავთ თ-დი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც, ხვათაშორის, ვინაობის დაფარვისათვის უსაყვედურა ერთ ჩვენ კორესპონდენტს, რომელმაც მისი საქმენი საგმირონი გამოააშკარავა.

—

გორელი თავად-აზნაურობის „დრუჟინის" სახით ჩვენ-

შიაც შემოვიდა ეგრეთ წოდებული „შავი რაზმი“, რომელიც ამ ჟამად რუსეთის ქალაქებსა და დაბა—სოფლებში დამთარეშობს და ხალხს უსისინებს ადგილობრივ მოღვაწეებზე და ხალხის სასარგებლოთ მომქმედ პირებზე. გარჩევა მხოლოთ იმაშია, რომ გორელ „შავ რაზმს“ გაცილებით უფრო მკვიდრი და მაგარი ორგანიზაცია შეუქმნია, და მის მოქმედებას მეტათ სერიოზული შედეგი უნდა მოყვეს. რადგანაც რუსეთთან შედარებაზე ჩამოვარდა საქმე, არ შეგვიძლია აქ არ აღვნიშნოთ ის სისტემატიური ქადაგება, რომელსაც ეწევა რუსეთის სამღვდელოება ერთი ნაწილი დღევანდელი მოძრაობის დასამცირებლათ უვიცი ხალხის თვალში. დღეს, როგორც აშკარათ მოწმობს ერთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ გადმოგვცეს, ჩვენი სამღვდელოებაც დამდგარა ამ მეტათ სამარცხვინო გზაზე. ეს დოკუმენტი დაბეჭდილია პატარა ფორმატის ქაღალდზე და შეიცავს ოთხ გვერდს, ძას არა აქვს მოწერილი რიცხვი და არც **ის** არის აღნიშნული, თუ ვისგან არის დასტამბული. საჭიროა რამდენიმეთ გავიცნოთ მისი შინაარსი, რომ მივხდეთ, თუ რა ხალხთან გვაქვს საქმე. პროკლამაციის ავტორი, რომელიც უეჭველათ სულიერი მამა უნდა იყოს, დასაწყისში გვეუბნება იმაზე თუ როგორ ვრცელდება საზოგადოთ გადამდები სნეულებანი და შემდეგ განაგრძობს: «ბოროტნი კაცნი, რომელთაც ღვთისადმი სარწმუნოება დაკარგეს, არა სწამთ მისი წმინდა კანონი, გარყვნილნი, ზარმაცნი, მაშფოთარნი, მოწადინებულნი არიან, რომ ყველა იმათ გავდეთ; ისინი მაგალითით, სიტყვითაც და ფურცლებითაც (პროკლამაციებით) ყველას ეძახიან, რომ წინააღუდგენ ეკლესიას, მეფეს, მთავრობას, არიგებენ მუშებს, თავი დაანებეთ მუშაობასაო... ესენი ხოცავენ და სცემენ იმათ, ვინც იმათ სწავლას არ მისდევს“....

...ეხლანდელი მაცთუნებელნი, რომელნიც ხალხს ბოროტებას ასწავლიან, განა არა გვანან ეშმაკსა?.... გონს მოვიდენ უპატიოსნო მაცთუნებელნი ხალხისა, სანამ დროა! დაანებონ თავი თავის ეშმაკურს მუშაობასა!“

მაგრამ „პროკლამაციის“ ავტორმა ალბათ კარგათ იცის, რომ ასეთი მუქარით ვერას გახდება, და ამიტომ ხალხს მიმართავს შემდეგი საგულისხმიერო და მეტათ დამახასიათებელი სიტყვებით:

„როდესაც ნახო მაცთუნებული, გაიცხე, ჩააგონე იმას ცალკე; თუ არა გისმინოს, წაიყვანე თან კიდევ ერთი ან ორი; თუ იმათაც არ გაუგონოს უთხარი კრებულსა, ხოლო შემდეგ მაცთუნებელი იყოს შენთვის, როგორც წარმართი და უცხო: **მიეცი ის სამართალში, მიეცი მთავრობას,** რო არ დაღუპოს უდანაშაულო ხალხი“....

მაგრამ კმარა, შევჩერდეთ აქ: სულიერი მამა, რომელიც ენითა თვისითა ქრისტეს მოძღვრებას ადიარებს, ხალხს ჯაშუშობას ასწავლის! ქრისტეს სახელით იგი იუდას მაგალითზე გვითითებს.

აი სადამდის, აი რა უფსკრულამდის მიუყვანია ჩვენი სამღვდელოება მიწიერი ინტერესებისადმი სამსახურს! ამაზე მეტი დაცემა, ზნეობრივი გათახსირება ყოველად შეუძლებელია! ჯაშუშობის ქადაგება, იუდის თაყვანისცემა, ეს ქრისტეს ზურგის შექცევა არა რის?

—

სხვათაშორის დღეს პროკლამაციების, დეკლარაციების, პეტიციების, ადრესების და სხვა ამგვარების წერის დროა. ქუთაისს ხომ ამ მხრით ყოველთვის პირველი ალაგი ეჭირა და აი მან დღესაც ისახელა თავი; უფრო მართალი რომ ვთქვათ, ისახელეს თავი იმ ას ოთხმა პირმა, რომლებსაც თავის დეკლარაცია გაზ. «ცნობის ფურც.» გაუგზავნიათ გამოსაქვეყნებლათ. ეს ას ოთხი პირი, რომლებშიაც ურევიან, «სხვათაშორის: ს. ხუნდაძე, დ. ჭუბაბრია, ვ. გარჩევანძე, კერტე ჩაჩავა, ილიკო კაკაბაძე, ვასილ მებანეიშვილი, ს. ნაკაშიძე, როვი, კ. ბაქრაძე, თომა მთაწმინდელი, ვ. ქორქაშვილი, დავ. არ. ლორთქიფანიძე (ცნობილი მოტრფიალე პოლიციის გაძლიერებისა) იასონ ნიკოლაიშვილი, ს. რობაქიძე და tutti quanti,—ვიმეორებ, ეს ას ოთხი პირი ამიერიდან სამარადისოთ საცხენებელი შეიქნებიან ქართველი ხალხის ისტორიაში. თავის განცხადების დიად მნიშვნელობაში ეს პატივცემული გვამნი იმდენათ დარწმუნებული არიან, რომ ისინი არ ჯერდებიან ამ თავისი კოლექტიური შრომის მარტო ერთ გაზეთში გამოცხადებით, არა: ისინი თხოულობენ, რომ იმათი ნაწარმოები ყველა ქართულ დრო გამოშკებით გამოცემებში იყოს გადაბეჭდილი. პატივი და დიდება იმათ ნააზრს და ნაშრომს! მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ვინ ბრძანდებიან ეს ას ოთხი პირი, რომლებიც ასეთი რიხით მიმართავენ ქართველ საზოგადოებას და ასეთ დარიგებას აძლევენ ქართულ პრესასა? რას ამბობენ, რისთვის აუღიათ იმათ ხელში კალამი?

— ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ამბობენ ხსენებული პირები,—დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგნებულ ინტელიგენტებს არაფერი საერთო არა აქვთ იმ პირებთან, რომელნიც მოძმეებს შორის შურსა და მტრობას თესენ. თუ რომ ერთობა და კეთილგანწყობილებაა საჭირო რომლისამე ხალხისთვის, განსაკუთრებით საჭიროა იგი ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის. **აზნაური და გლეხი, ძმურათ ხელ-ჩაკიდებული,** დღეს ერთი დიადის მიზნისაკენ უნდა მიისწრაფოდეს, და იმერეთის, თავად-აზნაურობამ, ისე, როგორც ამერეთისამ სავანგებო კრებაზე დადგენილ გადაწყვეტილებით, **თავის ადრესებში გამოთქმული აზრით, ცხადათ დაამტკიცეს, რომ ისინი გლეხებთან ერთათ ქვეყნის საერთო მიზნითა და მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი(!?).**

კარგათ დავუკვირდეთ, რას აცხადებს საქართველოს თავად-აზნაურობა თავის ადრესებში. ის ეუბნება უმაღლეს მთავრობას: თავად-აზნაურობის მოთხოვნაში არ იხატება ის აზრი, რომ ის უარ-ყოფს თავის ყოველგვარ უპირატესობას და გულით წადია მოუპოო! ქვეყანას თანასწორობა და სამართლიანობა?! გლეხობამაც ხომ ესევე წადილი გამოაცხადა როგორც დასავლეთში,—ისე აღმოსავლეთშიც, და, მაშასადამე, რა არის მათ შორის სამტრო და სასისხლო?!

დღეს დღეობით ერთათ ერთი სადავო საგანი შემამუღეთა და მიწის მუშათა შორის მიწის ღალაა მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ეს უთანხმოება ადვილათ გასწორდება სხვა უფრო მშვიდობიანის გზით: ამისთვის სრულიად საჭირო არ არის ერთმანეთის მისევა და წვა-დაგვა.

დარწმუნებულნი ვართ, ჩვენის წერილის დედა აზრი სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენის პრესის მიმართულებას, და ამიტომ მივმართავთ ჩვენი გაზეთების რედაქციებს თხოვნით—**გაავრცელოს ეს ჩვენი** წერილი თავის ორგანოების საშუალებით და მას **თავისი აზრიც, თავისი გავლენიანი სიტყვაც დასძინონ** ამ საგნის შესახებ; **მოიწვიონ გლეხნი და აზნაურნი, რათა ძმურათ შეკავშირდნენ ჩვენის ქვეყნის საჭირ-ბოროტო კითხვების გადასაწყვეტათ.**

აგრეთვე ვრმათ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის **პირნი, რომელთაც გლეხებთან მოლაპარაკება ჰქონიათ და მათი ნდობა მოუპოვებიათ, შეაგონებენ მათ, წერილობითაც და სიტყვიერათაც, რომ მოძმეებს შორის ძალმომრეობის ხმარება, სისხლის ღვრა, გადაწვა და ერთმანეთის** ეღლეტა ჩვენს უამისოთაც დაბეჩავებულს **ქვეყანას მხოლოთ ვნებას**

მოუტანს და არა სარგებლობას. ჩვენ გვჯერა, რომ ერის ერთგული მამულისშვილები, **შეგნებული პარტიები არ იქმნებიან მომხრე ძმების გადამტერებისა და ერთმანეთის წვა-ულლეტით ხალხის ძალ-ღონის შესუსტებისა** *).

აი რას გვეუბნებიან, აი რის გვიქადაგებენ ას ოთხი პირი! სწორე მოგახსენოთ, იმის შემდეგ, რაც „ცნობის ფურცელმა“ და „ივერიამ“ იმათ ამის საპასუხო წერილები დაუწერეს, ჩვენ თითქმის ზედ მეტათ მიგვაჩნია კიდევ ამისთვის დროს დაკარგვა. „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ კრიტიკა იმათთვის უსასტიკესი დასჯა უნდა იყოს! სად უნდა მოეპოვათ ამიერიდან ცნობილი 104 პირს თანაგრძნობა, თუ არ ხსენებულ რედაქციების მხრით? მაგრამ ეტყობათ, რომ იმათ კიდევაც გადაუპარებიათ თავიანთ მასწავლებლებისათვისაც კი. მაგრამ ჩვენი აზრით, „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ ხარხარი და დაცინვა ქუთათურ ავტორებზე უადგილოთ უნდა ჩაითვალოს. განა „ივერიელები და „ცნობას ფურცლელები“ არ იყვენ ეროვნულ ავტონომიაზე და საერთო ჰარმონიაზე რომლადაც დებენ და ხმა მაღლა გაიძახოდენ? და ახლა, როცა მათ დაანახვეს მათი შეხედულების ლოდიკური დასკვნა, დღეს დაცინვით იხსენიებენ იმათ, ვინც იმათი მკვიდრი შვილია, ვინც იმათი ქადაგების ნამდვილათ მიმდევარია. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რისთვის იგდებენ ასე სამასხაროთ ისინი ქუთათურ ავტორებს. ისინი შეინიღბათ ფარავენ თავის სურვილებს და მისწრაფებას; ისინი დაფეთული არიან პირდაპირ არ უწოდონ საგანს ნამდვილი სახელი. ამიტომ მათი ენა გაუგებარია ისეთ ბურჟუა-დიბერალებისათვის, როგორიც არიან ხსენებული 104 პირი. ისინი პირდაპირ ლაპარაკობენ. იმათ ავტონომია თავის ინტერესების დასაცავათ უნდათ და ამას არ ფარავენ. ჩვენ ერთობ დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადოთ ხსენებულ პირებს, რომ იმათ ნამდვილ ლოდიკურათ გაიმეორეს ის, რასაც ქადაგებენ ჩვენი ნაციონალისტები. ხოლო რაც შეეხება იმათი აზრის უბადრუკობას, იმათი მსჯელობის უსუსურობას, ამაზე, ვიძეორებთ, მეტათ მიგვაჩნია ლაპარაკი.

ფელეტონის მაგიერი.

მოქმედნი პირნი:

ივერია.—55 წლის ყმაწვილი. მეცელზე ღიპი ემჩნევა. აუჩქარებელი მიხრა-მოხრა აქვს. ჰალარას იღებავს და კოხტაობს.

ცნობ. ფურც.—ასაკში შესული ჰაბუკი. ევროპიულ ტანისამოსს ატარებს, მეტათ ცელქი და დაუდგრომელი რამ არის. ადვილათ გადადის მწუხარებიდან მხიარულებაზე, და მხიარულებიდან მწუხარებაზე.

3 კაცი: I, II, III. „მშრომელი ხალხი“. ინტელიგენტები და თავად-აზნაურობა.

—

მოქმედება სცაოთოების ქუთაისში და თფილისში.

ცნობ. ფურც. (ბოლთას ცემს) ეროვნება... ეროვნება... ეროვნება!... (შემოდის ივერია).

ივერია. (ხერ ჯერობით ვერ ამჩნევს ცნობ. ფ.). მუშა ხალხი და ეროვნება... ეროვნება და მუშა ხალხი.

ცნობ. ფურც. გამარჯობა! (იქ შეკრთება).

ივერია. ჰო, შენა ხარ? გაიმარჯოს. არავინ მოსულა? ხალხი, მშრომელი ხალხი სად არის აქამდი?

ცნობ. ფურც. რა? ჰო! მშრომელი ხალხი როგორ არა! აქ იყო, ახლა გავიდა. ემ საათში შემოვა.

ივერია. ჩვენებრი? ჩვენი ინტელლიგენტები სადღა არიან ამ დრომდე?

ცნობ. ფურც. ინტელლიგენტებიც ეხლავე მოვლენ... (გაიარ-გამოიარს, შეჩერდება ერთ ადგილას, თავს-ბქვეთ აღაპყრობს, შუბლზე თითს მიიდებს და ფიქრში): ეროვნება და სიყვარული თუ სიყვარული და ეროვნება. (კვლავ ჩაფიქრდება. შემდეგ): ეროვნება და სიძულვილი...

ივერია. (სიტყვას გააწყვეტინებს) ეროვნება და მუშა ხალხი. მუშა ხალხი და ეროვნება.

ცნობ. ფ. დღევანდელი დღე დიდებული და შესანიშნავი დღე არის.

ივერია. (განაგრძობს). საქართველოში აღმოჩნდა...

ცნობ. ფ. სსს... ჩუმათ! ვილაცა ჰოდის... „დასვლები“ არ იყვნენ...

ივერია. ვიჯმნი ეშმაკისაგან. (გააფურთხებს).

ცნობ. ფ. ვიჯმნი ეშმაკისაგან. (გააფურთხებს). (შემოდიან ქართველი ინტელიგენტები რიცხვით 10 კაცი, „მუშა ხალხი“, რიცხვით 3 კაცი და მრავალი თავად-აზნაურობა).

ყველანი. (ყვირიან): საქართველოს გაუმარჯოს! (ყვირილი თან და თან დაწყნარდება).

ივერია. ორიოდე სიტყვა ნება მაბოძეთ, ორიოდე სიტყვას!

(ყველანი გაჩუმდებიან).

ჩემი სიტყვით მე მივმართავ მუშა ხალხს, მხოლოთ მუშა ხალხს და სხვას არავის.

(სამივე „მუშა ხალხი“ წინ წამოდგება).

ძმებო და ამხანაგებო! თქვენ საკმაოთ გათვითცნობიერებული ხართ დღეს. თქვენ ისეთი გათვითცნობიერებული ხართ, რომ უკეთესი არ შეიძლება... და რადგანაც თქვენ ეგრე ძალიან ხართ გათვითცნობიერებული, ამიტომ მე მგონია რომ თქვენ თითონ მიხვდებით რა არის დღეს საჭირო ქართველი ერისათვის.. და თქვენთვის, ქართველი მუშა ხალხისათვის. თქვენ გულში ნათლათ ვგითხულობ მე ერთ სიტყვას. ეს სიტყვა არის ავტონომია. ჩვენა ვართ თქვენი მომხრენი, თქვენთვის კეთილის მდომია... დღეს რა სჭირია ქართველ ერს? მითხარით... (თვალებში ჩააცქერდება ხალხს, თითქო უნდა რაღაც ჩააგონოსო). ავ...

ყველანი. ...ტონომია... (ივერ. დინჯათ იღიმება და სიამოვნებით ღიპზე ხელს ისვამს. ცნ. ფ. სიხარულით ხტის).

ცნობ. ფ. ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა მოგახსენო. (ყველანი ყურს უგდებენ):

ბევრი გაჭირვება და ვაი-ვაგლახი გამოვცდით, სანამ ის შევიქნებოდით, რაც დღეს ვართ. რა ვიყავით წინეთ ჩვენ? უბრალო ნაციონილისტები. შემდეგ ნაციონალისტ-ფედერალისტები გავხდით! რათა? რათ და ეს უფრო კარგი იყო ეროვნებისათვის. ეროვნება... დიახ ნაციონალისტ-ფედერალისტობა არ დააკმაყოფილებდა ჩვენ მოთხოვნილებას და ჩვენთან ერთათ გაიზარდა ჩვენი სახელიც: შევიქენით ნაციონალ-ფედერალისტ-დემოკრატები. თანდათანობითი ევოლიუცია ჩვენი პარტიისა ამაზე არ შეჩერდა, და ჩვენ სახელს შეემატა კიდევ ერთი სიტყვა: ავტონომისტები. ახლა ვართ ნაციონალ-ფედერალისტ-დემოკრატ-ავტონომისტები... ჩვენ ვებრძოდით სომხებს, რადგან იგინი ჩვენი სისხლის მსმელები იყვენ და ახლაც არიან... უკაცრავათ, „ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“: ამაზე ლაპარაკი ამ ჟამათ არ არის საჭირო. სომხებს ჩვენ ძმებათ ვთვლით ამ ჟამათ.. ამიტომ რომ ახლა ეს

*) ხაზს ჩვენ ვუსვამთ.

ასე უნდა. ავტონომია კი საჭიროა... ავტონომია დაგვიხსნის ჩვენ... მთელ ქართველებს დაიხსნის... საზოგადოთ ქართველმა ხალხმა არ მოითხოვა ავტონომია. ეს იმას ნიშნავს რომ იგი სულით და გულით ავტონომიის მომხრეა. ეს ნათლათ სჩანს. ოჰ, რომ იცოდეთ რა კარგია ავტონომია! რატომ გაურბის ამ სიტყვას მთელი ქართველთა ტომია? მითხარით, თუ ღმერთი გწამდესთ, რა სურს მას? (ჩააცქერდება) ავ...

ყველანი. ტონომია!...

ივერია. ჩვენ ენას სდევნის დღევანდელი მთავრობა...

ცნობ. ფურც. ჩვენ ენას დევნიან. ჩვენ ქართველ ჩვეულებებს, ქართველურ ადათებს არ იღებენ მხედველობაში. ჩვენ, რუსების ჩინოვნიკები გვაწამებენ. არ უნდათ შეგვარჩინონ არავითარი განსაკუთრებული, ნაციონალური თვისება, ეს საზიზღრობაა. ეს აბუჩათ აგდებაა... ჩვენ გვეყვარს ჩვენი ჩიხირთმა, გვეყვარს ჭადი და ღომია, ბორში და სუპი არ გვინდა. რა გვინდა?

ყველანი. ავტონომია!...

ივერია. და ცნობ. ფურც. ერთათ: ჩვენ მრავალი მტრები გვყავს...

1-ლი ინტელიგ. ყველაზე უფრო დაუნდობელი მტერი ეგრეთ წოდებული „დასელებია“

ივერია. ვიჯმნი ეშმაკისაგან. (აფურთხებს)

ცნობ. ფურც. ვიჯმნი ეშმაკისაგან (აფურთხებს)

ივერია. დიახ ბევრი მტერი გვყავს ჩვენ. ჩვენი მტრები ამტკიცებენ, ვითომ ავტონომია მუშა ხალხისათვის არ იყოს სასარგებლო. არ დაუჯეროთ მათ! ხომ არ დაუჯერებთ? გამოვუცხადოთ დასელებს დაუზოგავი ომია, ივინი თქვენი მტერია: არ სურთ მათ....

ყველანი. ავტონომია!...

ცნობ. ფურც. ჩვენ არ გვინდა დღევანდელი წესწყობილება. ჩვენ ავტონომია გვინდა. მაშინ, როცა ჩვენ მოგვენიჭება ავტონომია, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს! ჩვენ გვექნება ჩვენი პარლამენტი. ქართველები, სულ ქართველები, შორს ჩვენს პარლამენტში სხვა ელემენტები. ივინი განხეთქილებას შემოიტანებენ ჩვენ საქმეში. ჩვენ გვეუბნებიან: მაშინ სხვა ერის ხალხი, რომელიც კავკასიაში ცხოვრობს, დაიჩაგრებაო. ტყუილია! ჩვენ ისე მოვაწყობთ საქმეს, რომ არაცინ დაიჩაგროს...

ივერია. ჩვენ ისე მოვაწყობთ საქმეს, როგორც თამარ მეფის დროს გვქონდა მოწყობილი. მაშინ სომხებიც და ლრიებიც მშვიდათ ცხოვრობდენ ჩვენთან. ამას გარდა ჩვენ გვექნება ჩვენი ეკლესია...

ცნობ. ფურ. ავტოკეფალური ეკლესია, ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა. ქართველი ბერ-მონაზვნები და ქართველი კათოლიკოსი. (პირჯვარს იწერს).

(ყველანი პირჯვარს იწერენ. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდება. სახეზე ყველას მოკრძალება და შიში ღვთისა ემჩნევა ყველას).

1 თავადი, გაუმარჯოს ავტონომიას!.

2 თავადი. გაუმარჯოს ავტონომიას.

ივრია და ცნობ. ფურ. მღერიან:

ჩვენ ვართ ქართველთა მოკეთე, მათთვის კეთილის მდომია, დღეს რა სჭირია ქართველ ერს? მითხარით!

ყველანი: ავტონომია...

ივერია და ცნობ. ფ. რატომ გაურბის ამ სიტყვას მთელი ქართველთა ტომია? მითხარით, ღვთის გულისათვის, რა სურთ მათ?

ყველანი: ავტონომია.

ივერია და ცნობ. ფ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ჩიხირთმა, გვიყვარს ჭადი და ღომია, სუპი და ბორშჩი არ გვინდა. რა გვინდა?

ყველანი: ავტონომია.

ივერია და ცნობ. ფურც. გამოუცხადოთ დასელებს დაუზოგავი ომია: იგინი ჩვენი მტრებია!
რა არ სურთ?

ყველანი: ავტონომია.

(ფარდა სულ ნელა ეშვება).

თაგუნა

ჟურნალ-გაზეთებიდან.

როგორც იყო, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ჰავჰავაძისეულ «ივერიაში» დაიბეჭდა თ-დ ილია ჰავჰავაძის სახასუხო წერილი «მოგზაურში» დაბეჭდილი კორესპონდენციის შესახებ. თ-დ ჰავჰავაძეს თავის წერილი დაუწყია ადამის გაჩენიდან, შემდეგ მოყოლია ადამიანობის და კაცურ-კაცობის შესახებ ლათაიებს და თავის წერილი იმ ზომამდე გაუჭიანურებია, რომ ჩვენ მისი წაკითხვაც ვერ მოვასწარით, რომ ამ ნომერშივე გაგვეცა შესაფერი პასუხი. ამიტომ მომავალ ნომრამდე იძულებული ვართ დავიცადოთ. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მხოლოთ ის გარემოება, რომ თ-დი ჰავჰავაძე გარდა ერთი მუხლისა არსებითათ სრულებით ვერ არღვევს ბრალდებას და მხოლოთ ჩვეულებრივი სიტყვის ბანზე აგდებით და უადგილო ოხუნჯობით ცდილობს ფონს გასვლას.

იაფ ფასიანი მადლობა.

ეს ერთი ხანია გაზეთ «ცნობის ფურცელში» თითქმის ყოველ დღე საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან იბეჭდება წერილები ზუგდიდში მომხდარ თავად-აზნაურთა კრების გამო.

„ღრმა მადლობას“ უცხადებენ ვასილ ალშიბაიას, მუშნი დადიანს და თითქმის იოანა მეუნარგიასაც მართალი სიტყვებისთვის, ხოლო ვლ. ალშიბაიას და ვ. აფაქიძეს წყევლა-კრულვით იხსენიებენ. მეტათ საინტერესოა ვიცოდეთ, რამ ააღელვა წერილების ავტორნი. როდესაც რომელმე პირი, ან ჯგუფი საზოგადოებისაგან გაკიცხვის ღირსი ხდება ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება ამ პირისაგან რაღაცა კარგს მოელოდა, ხოლო ცუდი კი მიიღო. ეს მოხდა იმის მოულოდნელად და აღშფოთებული საზოგადოება კიცხავს ამისთანა პიროვნებას. ზუგდიდში კი მოულოდნელი არაფერი მომხდარა: შეიკრიბენ ფეოდალები და ლაპარაკობდენ ახლანდელ აგრარულ მოძრაობის წინააღმდეგ ზომების მიღებაზე. ერთი ნაწილი იმ აზრის იყო, რომ მთავრობას ვთხოვეთ შემწეობასა, ხოლო მეორე ნაწილი კი ფიქრობდა საქმე შინაურულათ, შერიგებით გავათაოთ. ერთი სიტყვით, ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა კრება ღვიძლი ძმა იყო თბილისში და ქუთაისში მომხდარ იმ გვარივე კრებებისა. ამ კრებებზე ხმა მაღლა არ წამოუძახიათ შეიძლება „ზარბაზნები, თოფებიო“, მაგრამ აზრი ხომ ერთი და იგივე იყო და სიტყვაში კი არ არის საქმე. აშკარაა, რომ შეძლებული ნაწილი თავად-აზნაურობისა წინააღმდეგია იმ აგრარულ მოძრაობის, რომელიც ხდება ამ ჟამად მთელ რუსეთში და კერძოთ კავკასიაში. შეძლებული ნაწილი მეთქი, ვამბობ, რადგანაც იმავე ზუგდიდის კრებაზე დაგმეს აზნაურობის მეორე ნაწილი, რომელმაც გლეხებს „ერთობა“ შეფიცა და რომელიც შეუძლებელთა ჯგუფს

ეკუთნოდა. ის აზნაურები, რომელნიც კრებაზე ,,ტყვიაწამლის'' მოტრფიალენი გამოვიდენ, მომხრე არიან სიტყვით პოლიტიკურ თავისუფლების. თავისუფლება იმათ, რასაკვირველია, თავისებურათ ესმით და ეს კიდევაც დაამტკიცეს ქუთაისის კრებაზე, სადაც თავისი ხმა ,,ეროვნული ავტონომიის'' მომხრეთ შეუერთეს. ასე ასრულდა ,,მოგზაურის'' წინასწარმეტყველება: ვლ. ალშიბაია თბილისში რომ ყოფილიყო ეროვნულ ავტონომიას მოითხოვდაო. შეძლებული თავად-აზნაურობა, აგრარული მოძრაობის წინააღმდეგია, ხოლო ,,ეროვნული ავტონომიის'' მომხრე. აგრარულ მოძრაობის წინააღმდეგ ის ახლანდელ მთავრობას შველას თხოვს ისე, როგორც მოითხოვდა ,,ავტონომიურ'' მთავრობას. ხოლო უმცირესი ნაწილი ამ თავად-აზნაურობისა გრძნობს, რომ ძალათ გლეხს მიწას ვერ მოახნევინებ, თვითონ ის ვერ მოხნავს და ისევ შერიგების გზას ადგია. როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილი თავისს ინტერესს ემსახურება, მხოლოთ სხვა და სხვა საშვალებით და ეს ზოგიერთებს, უსათუოთ თანხმობის'' მოტრფიალეთ ძლიერ გაკვირვებია და ,,ცნობის ფურცლის'' გვერდზედ სასტიკ გაკიცხვას უთვლიან იმათ, ვინც აშკარათ გამოთქვეს თავიანთი პირ-ვარამი და ინტერესი, ვინც თავისი ნამდვილი ფიზიონომია აჩვენა ხალხს და ლამაზ სიტყვებს არ ამოეფარა. ხოლო ,,თანხმობის'' მოტრფიალენი ცამდი აყავთ და უსურვებენ მათ მხნეობას და ყოჩაღობას, უსათუოთ სამშობლოს სადღეგრძელოთ. ასე ადვილი საქმეა დღევანდელ დროში, მკითხველო, ქება-დიდების დამსახურება. საკმარისია ორიოდე ლამაზი სიტყვა თქვა სადმე კრებაზე, რომ ზოგიერთი გულუბრყვილონი სულ შენ მზეს ფიცულობდენ. მე არ ვიცი თუ რამდენათ შრომობენ ხალხისთვინ ბ-ნი ვ. ალშიბაია და მუშნი დადიანი—ამას მომავალი გვიჩვენებს, ხოლო ის კი ვიცი, რომ იონა მეუნარგია, ზუგდიდის მაზრის მომრიგებელი შუამავალი, სულ არ ჰადაგებს სოფლებში თანამედროვე აზრებს, როდესაც მთავრობის მონდობილობით ყრილობებს ახდენს. ამასთან არ შემიძლიან მცირე შენიშვნა არ მიგცე იმ პირით, რომელნიც ბოლო დროს წერილებს ბეჭდავენ ზუგდიდის კრების შესახებ. მართალია ვლ. ალშიბიამ და ვ. აფაქიძემ მოითხოვეს რეპერსიული ზომები მოძრაობის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს რომ მთავრობას არ სჭირია არავისი თხოვნა და ჯარს ისედაც ბევრს გაგზავნის მოძრაობის ჩასაქრობათ; ეს თავის თავათ ცხადია, რადგანაც დღევანდელი მოძრაობა, სოფლებში როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკურია და ამისთანა მოძრაობა თავის თავათ იწვევს მთავრობისგან საწინააღმდეგო ზომებს. მაშასადამე ზევით დასახელებული ორატორების სიტყვებს რეალური მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგრამ სამეგრელოდან გადავიდეთ იმერეთში, თავად ილია ჭავჭავაძის მამულში. იქ ილია თვითონ ტანჯავდა თავის გლეხებს მამაშვილურათ და იმათ წინააღმდეგ არც ერთ საეკსპლოატაციო გზას არ ერიდებოდა—ამისთანა ილიას დღემდი არავინ გამოუცხადა საყვედური, თუმცა ეს ამბავი ვრცლათ იყო დაბეჭდილი ,,მოგზაურის'' ნომერში. ახლა ხომ ლამაზ სიტყვებს დიდი გასავალი აქვს გუელ-უბრყვილო მკითხველებში და ამისთანა სიტყვები თავად ილიას ლექსიკონში ბლომათ მოიპოება.

ბ. თეკლათელი

ქუთათურის შენიშვნები.

ქუთაისში ეგრედ წოდებულ „პროგრესულ პარტიას" დღემდი ერთათ ერთი დაწესებულება—საურთიერთო ბანკი ებარა და ყველას გვეგონა, რომ მას იგინი შეილივით მოუვლიდენ და მამინაცვლობას არ გაუწევდენ. მაგრამ ამ 25 წლის თავზე, როდესაც მის საიუბილეო დღესასწაულისათვის მომზადებულიყვენ მისი პატრონნი,—იგი დიდ განსაცდელში აღმოჩნდა.

ჩვენ ქუთათურ მოღვაწეებს ამ ბანკით მოქონდათ თავი და თავიანთ სანაქებო საქმიანობის მაგალითათ მუდამ იმაზე უთითებდენ მტერსაც და მოყვარესაც. ამ ხნის განმავლობაში მათ საქმიანობაში ეჭვის შეტანა ფიქრათაც არავის მოსვლია, და მათი ნამოქმედარის კრიტიკაც ვერავის გაებედა. ბანკს ყოველწლიურათ ხარჯებს უდიდებდენ და მის მსახურებსაც ჯამაგირებს და საჩუქრებს უმატებდენ. მათდა იღბლათ პრესასაც თვისი უწმინდესი მოვალეობა—**სინამდვილის გამოაშკარავება** დაავიწყდა და ამათ დამცველათ და ნაკლულევანებათა დამფარეთ გამოსულიყო: აქაო—დაერთხელვე სახელგანთქმული კაცები როგორ რასმე წაახდენენ, ცუდს როგორ მოიქმედებენო.

ასეთი დრო მეფობდა დღემდი საურთიერთო ნდობის ბანკში, ხოლო დღეს ყოველივე პატრიარქალურს ძირი გამოეთხარა და ჩვენი ბანკის ცოდვებიც გამოჰზეურდა. ვერ ვიტყვით, რომ ამ ცოდვებს ერთბაშათ წამოეყოთ თავი. არა, იმათი ჩანასახი დიდი ხანია ბანკში არსებულა, ნელ-ნელა ზრდილა, ზრდილა და დღეს ასე მძლავრათ დაგვანახა თავი. დიახ, ამ ჩანასახზე თითო-ოროლა, შეიძლება პირადათაც დაინტერესებულ პირთაგანაც ისმოდა საზოგადოებაში, ბანკის საქმეებს ცუდათ აწარმოებენ და ყურადღება მიაქციეთო, მაგრამ ამის მთქმელებს ისეთი უშვერი სახელით ნათლავდენ, რომ სინამდვილე ვერავინ გაიგო. ასე იმალებოდა დღემდი შინაურულათ, მეგობრულ-ამხანაგურათ ნაწარმოები ბანკის საქმეები, რამაც, დღევანდელ მდგომარეობაში ჩაგდო იგი.

უკანასკნელ კრებებზე, როცა დამსწრე საზოგადოებას წაუკითხეს საზოგადო კრებაზე არჩეული კომისიის მოხსენება, გარდა ბანკის ყოფილ თავმჯდომარის თ-დი თუმანიშვილისა და ერთი დირექტორის კ. ლორთქიფანიძისა, ყველა მტერიც და მოყვარეც განცვიფრებაში მოვიდენ და ამბობდენ: უჰ, ეს რა უქნიათ, რა უქნიათო; ჩვენ სად გვეძინა ამდენხანსო. მეორე ყოფილ, დირექტორთაგანმა კი (მ. ქუთათელაძემ) ამას შემდეგი დაუმატა: კომისიის მოხსენებაში ყოველივე სრული სიმართლეა, აქ ერთი იოტის ოდენა არაფერია გადამეტებული. მხოლოთ მე იმის ავტორებს არ ვეთანხმები იმაში, რომ მათ გადაუწყვეტიათ ძველი გამგეობის სამოქალაქო და არა სისხლის სამართალში მიცემა. ჩემის აზრით საჭიროა სისხლის სამართალში მივცეთ ყველანი, როგორც გამგეობა, ისე რჩევის და სარევიზიო კომისიის წევრები, რადგან ჩვენ თუ დამნაშავენი ვართ, ისინი კიდე უფრო არიან სასჯელის ღირსი, ისინი ხომ ჩვენი ზედამხედველები, კანტროლები იყვენ და თუ რასმე ვაფუჭებდით, რატომ თავის დროზე არ გვემხელდენო.

ბანკის ერთი მეთაურის ამგვარმა კატეგორიულმა სიტყვებმა ხმების უმრავლესობა სრულიად დაარწმუნა კომისიის დასკვნებში, ხოლო ზოგი კი ამბობდა, ეტყობა მას კარგათ მოუკვარახჭინებია საქმე, რომ ასე დაჟინებით მოითხოვს სისხლის სამართალსო.

მაშ თუ ასეა, თქვა კრების უმრავლესობამ, სუყველა ღირსი ყოფილხართ სასჯელისო და 1 მაისს კრებაზე, მიუხედავათ იმისა, რომ კომისიის წევრებმა (ვეჭილებმა) და ახლან-

დელმა თავმჯდომარემ სიმონ ლორთქიფანიძემ ბევრი უმტკიცა აღელვებულ კრების სისხლის სამართალში ნუ მისცემთ ძველებსო,—ამ რჩევებმა აღარ გასჭრა და 115 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 46-სა მისცეს ისინი სისხლის სამართალში. ეს ბანკის ახლანდელმა მეთაურმა ს. ლორთქიფანიძემ იუკადრისა და იმ წამსვე განცხადება შემოიტანა კრებაში, რომ ამგვარი თქვენი გადაწყვეტილების გამო მე ამ ბანკში სამსახური აღარ მსურსო. მას რამდენიმე რჩევის წევრებიც აყვენ და გუშინწინ ერთხმათ არჩეულებმა, დღეს ღვთის ანაბარათ დატოვეს საქმე.

ძველი გამგეობის წევრები, რომელთა მეთაურობით ბანკი განსაცდელში ჩავარდა, დღეს პილატესავით ხელს იბანენ და თავის მართლებათ ის მიაჩნიათ, რომ გაიძახიან: ბანკი რამდენიმე ახალგაზდა აგიტატორ-ვექილებმა დალუპესო. ჩვენ ამ საქმეში უმანკონი ვართ, მარა სიმართლე არსად გვათქმევინეს არც კრებებზე და არც პრესაში. თუ რამდენათ მისაღებია ასეთი თავის მართლება ეს იმან განსაჯოს, ვისაც ძველი „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ №№ ახსოვთ. მაგრამ ამ გაზეთებმა არსებითათ ვერიკინ დააკმაყოფილა და ვისაც უფრო თქმა შეეძლო ძველების სასარგებლოთ, ისინი კრებებზედაც ბრწყინვალეთ სდუმდენ და პრესაშიაც კრინტი არ დაეძრავთ თავიანთ მეგობრების სასარგებლოთ. რატომ, ეს თითონ მათ კითხეთ...

ამნაირათ მათ (ძველებმა) არ მიიღეს თავზე არც მთავრობის და არც ჩვენიანების მიერ ნაჩვენები აუარებელი შეცთომები და მისგან გამოწვეულ ზარალის პასუხის მგებლობა. მათ ერთი სიტყვაც არ წამოუღიათ დღევანდელ გამწვავებულ კრებაზე იმის შესახებ, რომ ამდენ ზარალში, თითონაც ეკისრათ ნაწილის გადახდა უსამართლოთ და უდავიდარაბოთ, რომ ამით ძალზე აღელვებული ხალხი ორდნავ მაინც დამშვიდებიათ და მარტო ბანკის წევრებს არ დადებოდა ამ საერთო კრიზისის დროს ამდენი ზარალის გადახდა. პირიქით აწმაირ განსაცდლის მოლოდინში თავიანთ კერძო საქმეებში შორს გამჭვრეტ მოღვაწეებს ადრე უგრძვნიათ ასეთი ბოლო მათ მიერ ნალოლიავებელ ბანკისა და ადრე მიუხვიგ-მოხვიეგებიათ თავიანთი ქონება, რომ რუსის ორთავე პირით მჭრელ მახვილს—„уложеніе о наказаніяхъ“ წოდებულს თუ ვინმე ციმბრთავდა, ამისგან ოსტატურათ თავი დაეხწიათ.

ისო.

საფრანგეთის ისტორიიდან

(1848)

I. ბურჟუაზიის გაბატონება.

(შემდეგი *)

როგორც ხედავთ, გლეხის წარმოების წესი და მასზე აგებული სოციალური მდგომარეობა მას ართმევს აქტიურ როლს და ხდის სხვა კლასის თუ პირის იარაღათ. როგორც სხვისი იარაღი ის თავისი სიმრავლით ცოდს როლს თამაშობს. ის პარტია, რომელსაც გლეხობა ემხრობა, აუცილებლათ იმარჯვებს და სახელმწიფოს იმორჩილებს. ამიტომ ყველა კლასს, პარტიას და მოღვაწეს თავის-თავი. პირველ ყოვლისა გლეხის მეგობრათ გამოაქვს და მით მის მოძმრობას ცდილობს.

დიდი რევოლიუციის დროს გლეხობამ ემიგრამნტთა დიდძალი მამულები ჩალის ფასათ შეიძინა. ამით ვითომ დაიწყო მისი კეთილდღეობა. მაგრამ იმავე რევოლიუციამ ამამუშავა და გააძლიერა მეორე ძალა, რომელსაც გლეხის მდგომარეობა უნდა დაექცია. ეს ძალაა კაპიტალიზმი, ფულის ბატონობა, რომლის ტენდენციაა ყველაფერს, დაიმორჩილოს და ფულიანთა ხელში მოაგროვოს. გლეხის ქონებიდან ამას საადგილ მამულო ბანკების რამდენიმე მილიარდი დაედვა და ასე ფინანსისტთა ბადეში გაება. მეორე მხრით, გამრავლების წყალობით საკუთრება დაუნაწილდა, დაუკიანდა და სიღარიბის მორევში ჩაყურყუმალავდა. ასეთ მდგომარეობაში მოუსწრო გლეხობას ივლისის რევოლიუციამ. ის ამ ცვლილებას შეხვდა სრულიათ გულგრილათ. მირაბოს აზრით, გლეხი რევოლიუციას აფასებს იმისდაგვარათ, თუ რამდენი ფული მოაკლო ამან მის ჯიბეს ან მოუმატა. პირველ შემთხვევაში ის ცვლილების წინააღმდეგია, მეორეში—მომხრე, ხოლო თუ არც ერთი ეს არ მომხდარა—გულგრილია. ივლისის რევოლიუციას მისთვის არც რამე წაურთმევია და არც მიუცია. ახლაც ის ისე თესდა, ხნავდა, გადასახადს იხდიდა, ცხოვრობდა, როგორც წინეთ. არავითარი ცვლილება არ განუცდია და ბანკირთა გაბატონებას გულგრილათ შეხვდა. მარქსი ამბობს, რომ „ისტორიულმა ტრადიციამ საფრანგეთის გლეხში დაბადა ერთი კაცის რწმენა, სახელად ნაპალეონი, რომელიც მას დაუბრუნებს ყველა დაკარგულ ბედნიერებას“. ეს რწმენა მასში ძლიერი იყო ივლისშიაც და უცდიდა თავის მესიას, რომელიც ოცი წლის შემდეგ მართლაც უნდა გამოჩენილიყო და თავისი უმზგავსებით, ეს რწმენა სამუდამოთ დაერღვია.

გლეხობაც, როგორც მთელი ბურჟუაზია, დაინტერესებულია კერძო საკუთრების შენახვაში და თავისი სიმრავლით ბურჟუაზიული პარტიების სიმაგრეს წარმოადგენს.

პროლეტარიატი. ეს არის ის ერთად ერთი კლასი, რომელიც მოკლებულია საკუთრებას და იძულებულია მხოლოდ თავისი ძალ-ღონის გაყიდვით იცხოვროს. ის როგორც კერძო საკუთრების განხორციელებული უარ-ყოფა, პრინციპიალურათ სხვადება არა მარტო შეძლებულთაგან, არამედ წვრილი ბურჟუაზიის ყველა ნაწილებისაგან. მხოლოთ პროლეტარიატია პირდაპირ დამოკიდებული კაპიტალისტებზე, დამოკიდებული როგორც მათი სიმდიდრის შემქნელი და თვითონ მუდამ გაყვლეფილი. ცხადია ივლისის რევოლიუცია ყველაზე უფრო მის ინტერესებს ეხებოდა. მას უჩენს მძლავრ ბატონებს, აძლიერებს მის პირდაპირ მტრებს. ესენი წვრილ ბურჟუაზიას დასჩაგრავენ ფინანსიურათ, კრედიტის გაძვირებით, პროლეტარს კი მთელი თავისი არსებობით, მთელი თავისი საქმიანობით, ქირის შემცირებით, სამუშაო დღის გაგრძელებით, ზედ-მეტი ღირებულების გამოწურვით—ერთი სიტყვით ყოველი ზომებით. ამიტომ ის, წინაადმდეგ წვრილ ბურჟუაზიისა, ვერ დაკმაყოფილდება მანამდის, სანამ კაპიტალიზმი ერთიანათ არ დაინგრევა. მაშასადამე ის თავისი მდგომარეობით რევოლიუციონერია, რევოლიუციონერი უკომპრომისო, შეუჩერებელი და ბოლომდის მიმავალი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ყოველთვის შეგნებული ქონდეს თავისი მდგომარეობა, თავისი ნამდვილი ინტერესები და მოწოდება. პირ იქით, როგორც ზემოთ დავინახეთ, ივლისის რევოლიუციაში ის თავის ბატონების იარაღათ გადაიქცა და უბრალო შავი მუშაობით დაკმაყოფილდა.

ცნობილია, რომ შეგნება, იდეური მდგომარეობა ჩვეულებრივათ დამოკიდებულია ნივთიერ მდგომარეობაზე. თვით წარმოების წესი ქმნის შესაფერ გონებრივ ურთიერთობას. გავსინჯოთ ამ მხრით პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრება. ამ დროს საფრანგეთში ითვლებოდა 5 მილიონი სამრეწველო პროლეტარიატი. ამათგან სხვილი მრეწველობაში მუშაობდა მილიონ ორას ათასზე ცოტა მეტი (ამაში ნახევარ მილიონი დედაკაცი). წვრილი მრეწველობაში 3 მილიონზე მეტი (დე-

*) იხ. „მოგზაური“ № 16 მაისის 1895 წ.

დაკაცი ერთ მილიონ 730 ათასი). პირველის პატრონთა რიცხვი შეიცავდა 121, 133, მეორის 1.548,334; ე. ი. საშვალოთ ერთ სხვილ პატრონზე მოდიოდა ათი მუშა, წვრილზე ორზე ცოტა მეტი. ხელობის ხრით ტანისამოსის წარმოებაში იყო ორ მილიონამდი მუშა, ქსოვის საქმეში ერთ მილიონამდის, სურსათისაში (რესტორანები და სხვ.) ნახევარი მილიონი. პარიჟში ირიცხებოდა 342,530 პროლეტარი (1847 წ. აღწერით).

როგორც ხედავთ, პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა წვრილ სახელოსნოებშია დაბანდული და შეიცავს უმთავრესათ ხელობის მცოდნეთ, ხელოსანთ. აქ ბატონობს ხელოსნობა და არა მანქანების წარმოება. ბუდე წვრილი წარმოებისა არის ორი რეკოლიუციური ცენტრი—პარიჟი და ლიონი. სტამბა, ოქრომჭედლობა, სამკერვალოები, ტრაკტირ-რესტორანები, შენობების აგება და სხვა და სხ. აი პარიჟის მთელი წარმოების დარგნი. აქ მუშის გვერდზე ჩვეულებრივათ თვით პატრონიც მუშაობდა, ხშირათ ყავა-ხანებში დროსაც ერთათ ატარებდენ. დღესასწაულებში მუშები პატრონის ოჯახთან ერთ სუფრაზე ჯდებიან. დამოკიდულება შინაურული, პატრიარქალურია. პროლეტარი წვრილ ბურჟუაზიულ ატმოსფერაში ტრიალებდა და აზროვნობითაც „ხაზაინს“ ემსგავსებოდა. როგორც მოხელე მასში ძრიელი იყო გახაზაინების ლტოლვილება, თავისი საკუთარი სახელოსნოს გახსნა და თავისთვის წარმოება. და ეს მით უფრო, რომ ამას დიდი ხარჯი არ სჭირდებოდა. ლიონში სადაც აბრეშუმის წარმოება მეფობდა. მხოლოთ ერთ ფაბრიკანტს ჰქონდა ფაბრიკა 400—500 მუშით, დანარჩენებს (800). არც ფაბრიკა მოეძევებოდა, არც რაიმე სახელოსნო და არც მუშას ქირაობდენ: ისინი მხოლოთ ყიდულობდენ ძაფს და ნაჭრობით მოქსოვას ურიგდებოდენ შინ მქსოველთ. ამათ აქვთ თავისი პატარა სახელოსნო და ერთი-ორი ნაქირავები მუშები და ცოლშვილის დახმარებით ამზადებდენ. ასეთი შინამრეწველნი იყვენ 8,000, მუშები 30,000, ამდენივე შავი მუშა. არც ერთი ეს მუშა ერთმანერთისაგან არ განირჩეოდენ: აღა ხშირათ უარეს მდგომარეობაში იყო, ვინემ მისი მუშა. ერთი სიტყვით წვრილი წარმოება აწვრილმანებს პროლეტარის გონებას და წვრილ ბურჟუაზიულ აზროვნებაში ამყოფებს. სამაგიეროთ ის, როგორც ხელოსანი, გვარიან ხელფასს იღებდა და გაუცვებსაც ადვილათ იგებდა. ამიტომ სხვა მუშებთან შედარებით ესენი უფრო განვითარებულნი, მცოდნენი და რევოლიუციონერნი არიან.

სრულიათ სხვა სურათს წარმოადგენს სხვილი მრეწველობის პროლეტარიატი. სხვილ წარმოებამ ფეხი მოიკიდა განსაკუთრებით ჩრდილოეთის პროვინციებში. ქალაქი ლილი, რუბე, რუანი და სხვა შეიქნენ ცენტრი ბამბის და შალის ფაბრიკებისა. აქ იქმნებოდა დიდძალი სიმდიდრე, აქ გროვდებოდა დიდძალი კაპიტალი და იმავე დროს აქ იყო ყველაზე უფრო გასაწყლებული და გალატაკებული პროლეტარიატი. მანქანამ განდევნა ხელოსანი და მის ალაგას მარტივი მუშა ჩააყენა; გამოიყენა შრომა დედაკაცის და ბავშვის და მით მაჰკაცის ქირა დასწია. გაფიცვა თითქმის შეუძლებელი გახდა. ამ მდგომარეობას კიდე უფრო აწვავებდა ხშირი კრიზისი, წარმოების შემცირება, მრავალ მუშათა უსაქმოთ დარჩენა „ათასდარიგო ჯარის“ გამრავლება, მუშათა შორის მეტოქეობის გაძლიერება და ქირის დავარდნა. ნაკლები ქირა, ვრძელი სამუშაო დღე, ხშირი გაცდენა—აი ხვედრი ამ დიდი მრეწველობის პროლეტარისა. ამან დაბადა უკიდურესი სიღატაკე, პაუპერიზმი და მუშის გონებრივათ და ზნეობრივათ გათახსირება.

პრეფექტების გამოკვლევით (1829 წ.) იმ პირთა რიცხვი, რომელნიც საქველ-მოქმედო დაწესებულებების და ოფიციალურ დახმარებას ღებულობდენ პარიჟში იყო ძრიელი წვრილ-ვარზე მეტი, ე. ი. 20-ზე მოდიოდა ერთი პაუპერი; ესენი ქალაქში სამჯერ მეტია, ვინემ სოფელში, ჩრდილოეთში მეტია, ვინე სამხრეთში. ნორდის პროვინციაში (ჩრდილოეთი) 6 მცხოვრებზე ითვლებოდა ერთი პაუპერი. ქ. ლილში 70 ათას მცხოვრებში 22,281 პაუპერი იყო. ამათგან ოთხი ათასამდის „ცხოვრობენ ვიწრო და დაბალ სარდაფებში, მოკლებული ჰაერს და სინათლეს, ჩაფლულნი ასაშფოთებელ უწმინდურობაში. ერთ და იმავე ლოგინზე წვანან ქმარი, ცოლი, შვილები, ხანდახან მოზდილი ძმები და დები“. პარიჟში ირიცხებოდა 66 ათასი პაუპერი, 13 მცხოვრებზე ერთი. ესენი თავ შეყრილნი იყვენ განსაკუთრებით მუშათა უბნებში. ამ რიცხვში არ შედის რასაკვირველია ის ღატაკნი, რომელნიც სირცხვილით მალვენ თავის სისაწყლეს და ოფიციალურ დახმარებას არ ღებულობენ, არც ისინი, ვინც დახმარებას ღებულობენ თავის სახლში კერძო ქველმოქმედებისაგან. თუ ყველა იმას ვიანგარიშებთ, გამოვა რომ იმ დროის საფრანგეთის პროლეტარიატი დიდათ დავარდნილი ყოფილა.

ასეთ ნიადაგზე აღმოცენდა პროლეტარიატის იდეოლოგია.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, წვრილი წარმოების მუშა ეტანებოდა „გახაზაინებას“, მარა რადგანაც თვითეულს ეს თავის საშუალებით აღ შეეძლო, დაიბადა აზრი შეერთების, ამხანაგობის დაარსების, ასოციაციის და ასე საერთო ძალღონით, საერთო სახელოსნოს დაარსებისა. ეგეთვე აზრი ტრიალებდა წვრილ ბურჟუაზიაშიაც სხვილი ბურჟუაზიის უღლისაგან განსათავისუფლებლათ. ასოციაცია «ხალხის» გაჩირვების ერთათ-ერთ მალამოთ გამოცხადდა. ის მისცემს პროლეტარს საკუთრებას, წვრილ ბურჟათ ბანკირთაგან დამოუკიდებლობას. ამიტომ ყველა ამ დროის რეფორმატორი პირველ ყოვლისა ასოციაციის მოციქულია. დავა იყო მხოლოთ იმაზე, ასოციების დაარსება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ძალდატანებით (სოციალისტები) თუ მხოლოთ იაფი კრედიტით. «სახალხო ბანკების» გახსნით (რადიკალები). მაგრამ თვით პრინციპი, ნიადაგი კი ორივე კლასს ერთი ჰქონდა და მით მუშა კიდევ ერთხელ წვრილ ბურჟუაზიულ აზროვნებაში გაიხლართა.

სხვილი წარმოების მუშა, რასაკვირველია, ვერ იფიქრებდა იმას, რომ ამხანაგობის დაარსებით ფაბრიკანტი შეეიქნებიო. ის თვალ წინ ხედავდა უზარ-მაზარ მანქანებს, რომელთა შეძენა და ამუშავება ღატაკ მუშათა ასოციაციას არ შეუძლია. აქ „გახაზაინებას“ ნიადაგი არ აქვს. სამაგიეროთ აქ მუშას აწუხებს ხშირი გაცდენა, ქირის დაწევა, სამუშაოს უქონლობა. იბადება ის აზრი, რომ გაცდენის მოსპობა, ყველასათვის სამუშაოს მიცემა მოსპობს კონკურენციას მუშებში, ასწევს ქირას და ასე სიღატაკე გაქრებაო. აქედან წარმოსდგა მოთხოვნილება «შრომის უფლების»—droit aux travail, ე. ი. უსაქმოთ დარჩენილთ სახელმწიფომ უნდა გაუჩინოს სამუშაო. აი ეს მოთხოვნილება წმინდა პროლეტარულია და როგორც სხვილი, ისე წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს ერთიანათ ეწინააღმდეგება.

ამ ნაირათ, პროლეტარიატის ნივთიერმა მდგომარეობამ დაბადა ორი იდეური მიმდინარეობა—ასოციაცია და „შრომის უფლება“. ამ აზრების მქადაგებელთ დაერქვათ სოციალისტები, მაგრამ რადგანაც ამის განხორციელება ნიშნავს შრომის გაწესრიგებას, ამიტომ სოციალისტთა დროშაზე წაიწერა ორი სიტყვა „შრომის ორგანიზაცია“.

რა საშვალებებით უნდა მოხდეს ამ რეფორმის განხორციელება? სად არის მისი გამტარებელი ძალა? პროლეტარიატის მეტის მეტ დაჩაგვრამ მის გონებრივ, ზნეობრივ და ნივთიერ გათახსირებამ როგორც მუშაში, ისე სხვა კლმსებში და მოღვაწეებში დაბადა აზრი, რომ ის არავითარ ძალას არ წარმოადგენს და როგორც ავადმყოფი მხოლოთ შებრალებას და განკითხვას საჭიროებს. მაშასადამე მისი ცხოვრების გაუმჯობესება, სიღატაკის მოსპობა შეუძლია არა თვითონ იმას, არამედ გაბატონებულ კლასებს; ამიტომ ყველა რეფორმატორი, დაწყებული სენ-სიმონით და ფურიეთ და გათავებული ლუი-ბლანით თავისი პროლეტარიატის განმათავისუფლებელი პროექტებით მიმართავენ არა პროლეტარიატს, არამედ ბურჟუაზიას, არისტოკრატიას, მეფეს და ქვეყნ-მომქმედთ. ლუი-ბლანის ცნობილი წიგნი: „შრომის ორგანიზაცია“ (დაიბეჭდა 1839 წ.) ასე იწყება: „მდიდრებო, თქვენ მოგმართავთ ამ წიგნით, აქ არის კითხვა ღარიბების შესახებ, ხოლო მათი საქმე თქვენი საქმე არის“. ამ აზრს ვერ გასცილდა თვით უდიდესი რევოლიუციონერი ოგიუსტ ბლანკი, ეს, მარქსის სიტყვით „პროლეტარიატის ჭეშმარიტი წარმომადგენელი“, რომლის შეხედულობით საჭიროა შეთქმულობების წყალობით მთავრობის ხელში ჩაგდება და ასე „მაღლიდან“ სოციალიზმის განხორციელობით პროლეტარიატის გაბედნიერება. მხოლოთ ისეთ გენიოსს, როგორც მარქსს, შეეძლო ამ დროს მთელი ეს აზროვნება გადაეტრიალებია, პროლეტარიატისათვის ნდობა გამოეცხადებია და მისთვის შეეძახა: მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა, პროლეტარნო ყველა ქვეყნისავ, შეერთდით! მაგრამ—ეს მოწოდება მაშინ მხოლოთ „ხმა მღაღადებლისა“ იყო და პროლეტარიატში გავლენა არ ჰქონდა.

თავის თავათ ცხადია, რომ რაკი პროლეტარიატის განთავისუფლება კაპიტალისტების უღლისაგან თვით კაპიტალისტების შემწეობით უნდა მომხდარიყო, ეს რევოლიუციური გზით ვერ იქნებოდა. და მართლაც ყველა რეფორმატორები (გარდა ბლანკისა) მშვიდობიან საშვალებებს ქადაგებდენ. საჭიროა მხოლოთ კარგი პროპაგანდა, შეძლებულთა დარწმუნება და ყოველივე ურევოლიუციოთ, საერთო ნებაყოფლობით მოეწყობაო. ლუი ბლანი, ეს ამ დროის მუშათა იდეოლოგი, სწერს: „ამ ნაირი დესპოტიზმის (კაპიტალიზმის) დანგრევა საქმეა მეცნიერების და არა აჯანყების“. („Histoire de dixans“ ტომი მე-V, გვ. 501, დაიბეჭდა 1840 წ). ამიტომ ესენი სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდენ. საქმე მთავრობის მოხსროაშია და არა მის გამოცვლაში, საქმე „მეცნიერებაშია“ და არა რევოლიუციაში. ამ აზროვნების წინააღმდეგი იყო ბლანკი, რომელიც პროპაგანდას, მოძღვრებას თითქმის არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა და მხოლოთ „მოქმედებას“, აჯანყებას აფასებდა. მთელი მისი მოღვაწეობა როგორც ქცევით დავინახავთ, აი ეს მოქმედებაა.

როგორ უყურებდა პოლიტიკური ბრძოლას თვითონ პროლეტარიატი? ივლისის რევოლიუციამ მას ერთიანათ შეაძულა პოლიტიკური ასპარეზი; მისი ბურჟუაზიის მიერ მოტყუებამ და პირვანდელ უუფლებობაში ჩაგრუნებამ მუშებში გამოიწვია რეაქცია, რეაქცია არა საკუთარი პოლიტიკური პარტიის შესადგენათ და ბურჟუაზიისაგან გამოსაშორებლათ, არამედ საზოგადოთ პოლიტიკის უარისაყოფლათ და სახელმწიფოს ბურჟუაზიისათვის დასათმობათ. ეს იყო შედეგი სასოწარკვეთილების. ამ მხრით არა გამოვა რაო. ამიტომ პოლიტიკური მოძრაობით იმედ გაცრუებულნი, შეუდგენ ეკონომიურ მოძრაობას და წინ წამოაყენეს «ეკონომია» «უპოლიტიკოთ». დაარსდა მუშათი ურთიერთ დამხმარე საზოგადოებები (მუტუალისტები), რომელთა წესდება პირდაპირ კრძალავდა პოლიტიკურ კითხვებზე ბჭობას. ამ შეზღუდულებამ თავისი თეორეტიული გამოხატულება ჰპოვა პრუდონის „ანარქიაში“ (პოლიტიკური ბრძოლის უარის ყოფა), თუმცა მის ნაწერებს თავისი გაუგებარი ენის წყალობით მუშებში მკითხველი ცოტა ყავდა.

ამ სახით, წვრილი ბურჟუაზია დაინტერესებული იყო პირველ ყოვლისა პოლიტიკურ რეფორმაში, პროლეტარიატი კი ეკონომიურში. პირველი იძლევა პოლიტიკურ პარტიებს, მეორე «ეკონომისტებს» და „ეკონომისტ-სოციალისტებს“. ორივე კლასის ბრძოლის ველზე ერთათ გამოსვლა და საერთო მტერზე იერიშით მისვლა მოითხოვდა მათ მიერ ერთი მეორის მიმართულების შეთვისებას, ე. ი. წვრილი ბურჟუაზია უნდა მიმხრობოდა სოციალურ რეფორმებს,—პროლეტარიატი—პოლიტიკურს. ეს ერთის ,,გასოციალისტება“ და მეორეს გარესპუბლიკანება მოხდა თანდათან, მტერთან შეტაკებით, ბრძოლის ველზე.

აი ასეთი იყო თვითეული კლასის პოზიცია, მათი ბუნება და ერთმანერთთან დამოკიდებულება. თვითეულმა მათგანმა ბრძოლაში თანდათან განავითარა თავისი პრინციპი; ჩამოაყალიბა თავისი სახეობა და გამონაკვეთა საკუთარი მდგომარეობა. როგორ მოხდა ეს? როგორი იყო მათი ბრძოლა? ს.

(შემდეგი იქნება).

ნიღაბ აფარებული ქართველი „პედაგოგები“.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამას წინათ, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, მოხდა თფ. პედაგოგთა კრება. მოუთმენლათ მოველოდით ასეთ კრებას, ჩვენ მოსწავლენი. საბედნიეროთ ზოგი მოსწავლეთაგანი კიდეც დაესწრო იმ კრებას, რომელზეც ჩვენს ზნეობრივათ და გონებრივათ აღმზრდელთ უნდა წარედგინა საზოგადოებისთვის თავიანთ მოქმედების ანგარიში და ახალი, ჯერ კიდევ უცნობი, დამალული საბუთები წარმოედგინათ, საზოგადოებას უმთოთაც დაწვრილებით შესწავლილი აქვს ახლანდელი ბნელი, ყალბ ნიადაგზე დაყენებული შკოლა. საინტერესო იყო მხოლოთ ის: ყველა ჯგუფის „პედაგოგები“ წარსდგებოდენ საზოგადოების წინაშე თუ არა. როგორც მოსალოდნელი იყო არ გამოჩნდენ ის ბიუროკრატები, რომლებიც პედაგოგებათ არიან წოდებულნი. საქმე მიდგა ლიბერალ პედაგოგებზე და ამათაც რასაკვირველია დაიწყეს მაღალ-მაღალი აზრების ფრქვევა. როგორც უკვე იყო მოხსენებული ადგილობრივ გაზეთებში, პატივცემულმა პედაგოგმა ბ. ცვეტნიცკიმ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ახლანდელ შკოლის ცხოვრებიდან. აქ ჩვენ არ გამოუდგებით თუ რამდენათ უნაკლულოთ შეასრულა მან ეს. ამ მცირე წერილში გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება უმთავრესათ ზოგიერთ ქართველ „მამა“ პედაგოგებს. ერთმა მათგანმა პედაგოგთა კრებაზე შემოფარგლა თავისი „რეჩი“, იმით, რომ ჩვენი, ე. ი. მოსწავლეების გაუვითარებლობა პირდაპირ დამოკიდებული არის ახლანდელ შკოლებში ყველა საგნების სამშობლო ენაზე სწავლების მოუწყობლობის გამო. თუ რამდენათ მართალია ეს შეხედულობა ამის გადაწყვეტა მკითხველისათვის მიგვინდვია. გატაცებულ მაღალი ფრაზებით შეემკო თავის მოხსენება ბ. შ. ა. ჩიტაძესაც. ოჰ, სირცხვილო! ვინ ებღაუბება თავისუფალ, დამოუკიდებელ შკოლას!... ეს ის ადმინისტრატორი—„პედაგოგია“, რომელმაც 26 იანვარს, საქმის გამოუძიებლათ, მოუხეშავი პოლი-

ციელის ზომების მეოხებით აიძულა თორმეტი *) მოსწავლე მიეტოვებია მისდამი რწმუნებული თფ. სააზნაურო სკოლა. როდესაც 26 იანვარს, დიდი დასვენების დროს, მშვიდობიანათ მოვთხოვეთ ჩვენი პალტოებიდა ქუდები მათგანვე დარიგებულ მცველს, ჩამოირბინა ძირს სადაც ჩვენი პალტოები იყო და შემდეგი სიტყვებით მოგვმართა: **замолчите, а то я васъ всѣхъ въ полицію отправлю**''-ო. მცველი რომ მისგანვე იყო დარიგებული ვამტკიცებ მისი აგენტ-მოწაფეების პირით, რომელნიც მცველთან ერთათ გადაგველოდნენ წინ. როდესაც ბ. ჩიტაძემ კითხა მათ: „რათ, არ ანებებთ წასვლას"; დაიბნენ და ასე უპასუხეს: „თქვენ არ გვიბრძანეთო!" პოლიციაში წაყვანით დამუქრებამ ძალზე აგვაღელვა. ამ საბიზღარი მუქარით რომ ვერ შეგვაჩერა, მერმე მიმართა ჩვენ დოკუმენტებს, ჩვენც მეტი არა დაგვრჩენოდა რა; დავთანხმდით. როდესაც შეგვიყვანეს კანცელარიაში, როგორც „დამნაშავენი", იქ დაცინვაც დაგვიწყო: ,,да, вы, акъ соціальдемократы''....-ო და სხვ... ერთი ჩვენგანი მიუბრუნდა და უთხრა: „იცმარეთ, ჩვენ ახლა არ შეგვიძლია კამათი, რადგანაც ძლიერ აღელვებული ვართ და მოკლე მოშავალში ვეცდებით თქვენი ფიზიონომია გამოვკიდოთ საზოგადოების წინაშე და ის დაგდებსთ მსჯავრსო".

მოიგონოს ბ. ჩიტაძემ თავისი სიტყვები, რომელიც მან 26 იანვარს უკანასკნელათ გვითხრა: „კარგი, ბატონებო, რაც გინდათ ის ქენით, მხოლოთ ჩვენ შკოლას ნუ აგვირევთო". სწორეთ ახლა ვნახეთ მომარჯვებული შემთხვევა, რომ ვამცნოთ საზოგადოებას მისი პოლიციური მოქმედება; ამიტომ, ნუ გაუკვირდება ბ. ადმინისტრატორ—„პედაგოგს" თუ ამდენხანს ვერ შევასრულეთ ის, რაც დავპირდით ჩვენთვის დაუვიწყარ 26 იანვარს. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ფაქტსაც არ დაიჯერებენ ჩვენი ბურჟუა-ნაციონალ-დემოკრატები. ამის გაგონებაზე მორთავენ ყაყანს: როგორ გეკადრებათ! ჩვენს ერთათ-ერთ ნაციონალურ შკოლაში, სადაც სულ ჩვენები არიან პედაგოგები! ვერ დაგიჯერებთ, თვალებზე ხელს ავიფარებთ, ყურებში ხელს გავიჭდობთ, არა ეს დასაჯერებელი არ არის!" დიაღ ჩვენც კარგათ ვიცით, რომ თვალებზე ხელ აფარებული ეგებებიან ეს ვაჟბატონები ყველაზე უფრო შეურყეველ ფაქტს.

იმის დასამტკიცებლათ თუ ვინ ბძანდებიან თფ. სააზნაურო სკოლის „პედაგოგები", მიუბრუნდეთ იმავე 26 იანვარს. როდესაც უკვე მოხსენებული სცენა „მწყობრათ" მიმდინარეობდა, არც ერთმა „პედაგოგმა", და არც ,,ალმზდელმა'' არ მოისურვა კანცელარიაში ჩამობრძანება და იმ მიზეზის საფუძვლიანათ გაგება თუ რისთვის მივდიოდით სამუდამოთ თორმეტი მოსწავლე. ვითომც არაფერი არ მომხდარიყოს; ყურიც კი არ გაუბერტყიათ. არც გვიკვირდა, რადგანაც ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ მათ მყუდროებას ,,ჩვენისანა ბავშვების მეტიჩრობა'' ვერ შეაძრევდა. მხოლოთ ერთი მათგანი ჩამოვიდა და გვითხრა: ,,სად მიდიხართ! გეფიცებით..., რომ მუშათა მოძრაობა თქვენგან ,,მსხვერპლს'' არ საჭიროობს და თქვენ თავს კი ტყუილათ დაღუპავთ, დაბრუნდითო''. კარგათ ჩაუკვირდი მკითხველო ამ ბატონის სიტყვებს და უთუოთ მიხვდები თუ რას ნიშნავენ ისინი. მეორე, არა პედაგოგი, ვ. მირიანაშვილი შემდეგი სიტყვებით შეეგება მეზობელ ოთახში შესულ პირსს: ,,კაცო რას ჩაცივებიხართ, წადენ!''.

დიაღ, მკითხველო, ასე დაინტერესებული იყვენ, არიან და კვლავ იქნებიან მოსწავლეების ყოფა-მდგომარეობით ქართველი ,,პედაგოგები''. სხვა კიდევ ამისთანა მრავალი რეალური საბუთები ნათლათ ამტკიცებენ, რომ ქართველ მოსწავლეებს მხოლოთ ტომით ქართველი პედაგოგები ვერ მისცემენ გონებრივ და ზნეობრივ საზრდოს. მარტო ქართველობა, ,,ჩვენობა'', არ კმარა. სწორეთ ესეთი პედაგოგები და მათი ამქრები ნაციონალ-დემოკრატები უგალობენ ეროვნულ ავტონომიას და მასთან ერთათ, რასაკვირველია, ეროვნულ შკოლებსაც. ჩვენ ვერ ვენდობით ვერც მათ შექმნილ ავტონომიას და ვერც მათ კლანჭებში ჩავარდნილ შკოლებს...

ნ. ყიფიანი.

*) ამათგან ოთხი კაცი მშობლების დახმარებით რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დააბრუნეს სკოლაში.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

თუმცა დღეს თქვენს გაზეთს ისეთაც საქმე ნაყოფიერი ბევრი აქვს და მღვდლებთან კამათისათვის გაზეთის ფურცლებს ვერ მოაცდენთ, მაგრამ მაინც უმორჩილესათ გთხოვთ დამისტამბოთ ეს წერილი ვინაიდგან ეს უკანასკნელათ იქნება ჩემგან პასუხი: როგორც ღარიბ კაცს, მე არა მაქვს იმდენი დრო მუქთა ტაბლით გამძღარ კაცს ვეკამათო და და დრო დავკარგო, მით უმეტეს, რომ კარგათ ვიცი კედელზე ცერცვი არ გაჩერდება.

მე მინახავს აბანოს მატლები ბნელ კუნჭულში მარდათ დაცოცავენ—დანავარდობენ, მაგარ აბანოს ჭვებსაც კი უმოწყალოთ ღრღნიან მაგრამ თუ იმათ ცხოველ-მყოფელ მზის სხივებზე აბანოდან გარეთ გადაყრით, ჯერ საცოდავათ დაიწყებენ თავის წყვეტებას, ფოთხვას და მერე უცბათ ქრებიან დღის სინათლეზე. სწორეთ აგრევე ხდება დღეს ცხოვრებაშიაც: დაბერა ცხოველმყოფელმა გამანთავისუფლებელმა სიომ ჩვენს დაბნელებულს, ამყრალებულ ცხოვრებას. მისი ბნელი ფარდის კუნჭულები შეანძრია და ფარდის შიგნით დაბუდებული ბნელეთის მხეცნი და ქვემძრომნი, მწარეთ ააღრიალა და შექმნეს საერთო განწირულის ხმით ოროტორიალი. შესანიშნავი სურათი კი გამოჩნდება ფარდის ჩამოგლეჯის შემდეგ. ზოგი იმუქრება: როგორ გაბედეთ ფარდის განძრევაო, ზოგიც თავს მართლულობს, ძმობა-მეგობრობას პირდება იმას, ვისაც გუშინ არაფრათ ცნობდა. აი ერთ ამ უკანასკნელთაგან უნდა ეკუთვნოდეს მღ. ა. ჯალიაშვილიც. ჩემს წერილს, დასტამბულს ,,მოგზაურის'' № 13 ისე გაუჯავრებია მ. ჯალიშვილი, რომ ,,მოგზაურის'' № 16-ში წერილი მოუთავსებია და თავს იმართლებს ჩემი წერილის წინააღმდეგ. ბძანებს ცარიელი ლიტონის სიტყვით, რომ ყველა ის სიცრუე-ცილისწამება არის და ჩირქს სცხებს ჩემს ხალხის სასარგებლოთ მოღვაწეობას-ო. თავის წერილში იმოწმებს ერთს, მხოლოთ ერთ კაცს, ისიც იცით როგორს? ვისთვისაც სულ ერთია: ამყოლს აყვება თუ დამყოლს დაყვება, ე. ი. მიხა ჩონიაძეს. იმოდენა ყრილობაში რაღა იმას ასახელებს მოწმათ, ხომ კარათ ახსომს მ. ალექსანდრეს, რომ სხვები იმაზე უკეთ მწიგნობარნი ელაპარაკებოდენ, ისინი რათ არ დაასახელა რაც შეხება ბ. ბ. მასწავლებელის მელიას და ხატისკაცის მოწმობას აქ კი მ. ჯალიაშვილმა ვერაფრათ გამოიყენა რასაც თითონვე აღვიარებს თავის წერილშივე. მხოლოთ შემოკლებით და შალაშინ გასმით ,,აი აქ ამოვიღე ხმა და ურჩიე ჩვენებურებს (მარტო თქვენებურებს?), ბძანებს მ. ალექსანდრე, რომ ესენი კი არა გურამიაანთ კარელები უნდა გამოვიდნენო იმ მოსაზრებით, რომ უმრავლესობა აქეთ იყო (რათ ეფარებით მაგ ყალბ საბუთსა თქვენ კარგათ იცოდით, რომ იმ დროს უმრავლესობას არავითარი უპირატესობა არ მიეცემოდა. თქვენი აზრი კი სულ სხვა იყო...) და ადგილიც მოხერხებული იყო-ო'' (ნეტა რითი?). ეს ხომ უმასწავლებლოთაც თქვენ თითონ დაამტკიცეთ. ახლა გვრჩება დასამტკიცებლათ ის, რომ მე „მიმიტმასნებია" (თქვენი ლექსიკონიდან ვსესხულობ ამ სიტყვას) განგებ ,,სეკრეტარი და პრედსედატელი''. როგორც ეს, ისე ზემოთ ჩამოთვლილი მთელს საზოგადოებას და სხვათა შორის სოლო ამირხანიშვილს, იასე კობაიძეს და მიხა ინაშვილს ეკითხოს თუ მე ,,მოუტანე." კიდევ ერთი გარემოება დაგვრჩა: თქვენ ბძანებთ: 20 მარტს ყრილობაზე მე არაფერი მიჯაშუშნიაო. ესეც მტკიცდება საბუთით, რომ მართალია. ზემოხსენებულ რიცხვში, როცა საგურამო საზოგადოება შე-

კრიბა და მივიდა სოფ. გალავანთან, სამმართველს ეზოს წინ (აწ მემამულეთაგან წართმეულია და მათი საქონლის სადგომათ გადაქცეული გლეხების ასი თუმნით აშენებული სამმართველო), ამ დროს საიდანდაც გაჩნდა ს. გურამიანთ-კარის მღვდელი ელიევი რომელმაც შეყრილ სახოგადოებიდან გამოიხმო სამი კაცი და უთხრა: შვილებო! ეხლა თქვენ რომ ყრილობას აპირებთ, მე რაღა მეშველება; ხოგიერთებზე ნისია მაქვს დარჩენილი (რადგან ნისიათ მიუცია ცხონება. ეტყობა დაბალი „სორტისა“ უნდა ყოფილიყოს), ხოგზე დრამა. ეს მაინც მოაგონეთ ყრილობასა ვინაიდგან ჩვენც ცხოვრება გვინდა. რითი და როგორ ვიცხოვროთ-ო? ამაზე უპასუხეს, რითაც ჩვენ ვიცხოვრებთ, შენც იმითი იცხოვრე; მიწა ბევრია, იშრომე და იცხოვრეო. ასეთი პასუხის შემდეგ ცხენით მოკურცხლა თქვენსკენ. მერე ხომ ერთათ შეიყარენით ორივენი თქვენს ! ახლო. შემდეგ გამოისტუმრე მამა ელიევი, მაგრამ იმან თვალი მოჰკრა ჯოპორტის საზოგადოებას, მომავალს ყრილობაზე, რომელთაც თქვენის სახლის წინ უნდა გამოევლოთ. უცბათ მოატრიალა ცხენი მობრუნდა ისევ თქვენთან, გამოგიხმოთ კარში და მიგითითათ ხალხზე. შემდეგ ხომ ის მოხდა, რაც ზევით ვთქვით. მერე ისევ მარტონი დარჩით და დიდხანს იმუსაიფეთ. ამავე საღამოს მღ. ელიევი სტაროსელსკისთან აივანზე იჯდა და ბჟობდენ იმ დღეს ყრილობაზე და თქვენს ვეგმაზე. ხალხის საბედნიეროთ კაცი კეთილი არ დაილევა და„ არა არს საიდუმლო რომელიც არგამოცხადნდეს“ კმარა, მამაო ალექსანდრე, კმარა, ქრისტეს მიერ მწყემსო ჩვენო. შეურიგდით იმ აზრს, რომ გაფრინდა ის, თქვენთვის ნეტარ ხსენებული დრო, როდესაც სხვა და სხვა „ინდულგაციებით“ სიმდიდრეს აგროვებდით. აი მაგალითათ, როგორც თქვენ მოგიგონიათ და მიგიციათ იაკობა დორეულისათვის თქვენ მიერ მეოცე საუკუნეში გამოგონილი „ინდულგენცია“ შიგა სწერია თქვენის საკუთარის ხელით: „იაკობა დორეულისაგან მივიღე ჯვარის საწერი, საცხონებელი და საკანონე 19 მანეთი მღ. ალ. ჯალიაშვილი“. უცნაურია თქვენმა მზემ; ჯვარის საწერი კი გვესმის, მაგრამ ეს საცხონებელი და საკანონო რაღა ეშმაკი უნდა იყოს? 16 მანეთი ამაზე „მოდის“ ხარჯი შაქრო ძაგანაშვილისაგანაც მოგრმთევიათ, პატარა სოფლის ფლობელო მამაო! ფიდო გულბათაშვილს, სანდრო ბექაურს და ჩიტო ბექაურს ასეთსავე საკანონეს თხოვთ ოთხ-ოთხ მანეთს; წინადმდეგ შემთხვევაში უკრძალავთ ეკლესიაში შესვლას და ყოველგვარ მღვდელ მსახურებას. ნეტავი რას იტყვით მაშინ, ისინიც რომ მართლა ახლოს აღარ გაგეკარნენ. წელს ბზობას დღეს დასაფლავეს კიკოლა გულბაათაშვილი, სამარხი, წინგასამძღვარო და საცხონებელი 9 მანეთი გადაახდევინეთ, ისიც„ ახალი ერთობის ხათრითაო„ თორემ წინათ თურმე ძალიან ძვირი ყოფილა ცხონება. ყველა ამაებს შემდეგ სხვა, თქვენ ადგილას, ბევრი არ დაიწუებდა თავის გამართლებას მაგრამ გეტყობათ, ესეც ერთ ნაირ სიგულადეთ მიგაჩნიათ ან თქვენებურათ გესმით.

დასასრულ, მ. ჯალიაშვილო არ შემიძლიან ერთი რამე არა გკითხოთ: თქვენი საპასუხო წერილიდან.„ მხოლოთ ჩვენ მასწავლებლებითურთ კრების მოთავის განკარგულებით ჩვენდა გასაკვირველათ აგვეკრძალა კრებაზე გასვლა—დასწრებაო“. აცხონეთ სული და აღვიარეთ, როცა ამას ფიქრობდით ან ამ ფიქრს ქაღალდზე წერდით, ვინა გყავდათ„ კრების მოთავეთ“ სახეში ან ის მაინცა ბძანეთ თქვენის ღვთის პირით რა სახელი უწოდოთ იმ კაცს, რომელიც კრების მოთავეს აზრა და ლაპარაკობს საჯაროთ, მაშინ, როდესაც ჯოჯოხეთურმა და აუტანელმა ცხოვრებამ ყველა გუშინდელ უთაურ გლეხებს დღეს თავები გამოაბა თქვენ რომ 3-ს აპრილს ს. გურამიანთ კარში გასულიყავით იქ გაიგონებდით დუშეთის მაზრის უფროსს რა უთხრეს გლეხებმა როცა იმან მოსთხოვა თავი კაცები მოსალაპარაკებლათ გლეხებმა ერთხმათ უპასუხეს ჩვენ ყველანი თავები ვართ, რადგანაც ყველანი ერთ ნაირათ ვიტანჯებით მონობის უღელ ქვეშაო„ შენ კი, მამაო, საქვეყნოთ ყვირი კრების მოთავემ კრებაზე არ მიმოშვაო. ვისთვის გნებავთ ასეთი საჩუქარი ძალათ თავზე მოახვიოთ. აი ამისთანა კაცისათვის ორი სახელია: ან ჯაშუში მოღალატე ან არ ესმის, რას ამობს და წერს ესეიგი, შეუგნებელი, თქვენ კი ამ ორში რომელიც გნებავთ ის ამოირჩიეთ.

ვ. ნ.

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

На годъ съ дост. и перес. 5 р.

открыта подписка на 1905 годъ на издаваемый безъ предварительной цензуры

еженедѣльный общедоступный журналъ

ЮРИСТЪ

РАЗСРОЧКА ДОПУСКАЕТЯ: при подпискѣ 2 р., 1 Марта 2 р. и 1 Іюня 1 р.

Подписка принимается въ Конторѣ «Юриста», С.-Петербургъ Фонтанка, 86, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

Подписчики „Юриста“ въ теченіе 1905 года получатъ:

52 №№ ЖУРНАЛА, выходящаго еженедѣльно по воскреснымъ днямъ и

7 безплатныхъ приложеній книгами:

1) СБОРНИКЪ Англійск. Судебныхъ процессовъ.

2) 6 книгъ законовъ гражданскихъ съ коммент. 6 (Сводъ зак. т. X ч. I изд. 1900 г.). Сост. Прив.-доц. С.-П. Унив. и Тов. Об.-Пр. Пр. Сен. И. М. Тютрюмовъ.

Первый опытъ разъясненія законовъ гражд., согласно мнѣніямъ научныхъ авторитетовъ и разъясненіямъ Правит. Сената.

„Юристъ“ ставитъ себѣ задачей помогать нашей читающей публикѣ, мало знакомой съ законами, разбираться въ вопросахъ права. Поэтому онъ посвящаетъ свои страницы изложенію въ общедоступной литературной формѣ дѣйствующихъ законовъ и основныхъ правовыхъ понятій Критикою всего отжившаго и обветшалаго, защитою права и справедливости журналъ надѣется примкнуть къ славной работѣ созиданія культурнаго величія Россіи. „Юристъ“, освобожденный отъ предварительной цензуры, получитъ возможность высказываться болѣе свободно по всѣмъ вопросамъ, входящимъ въ его программу, и эту возможность редакція постарается использовать, чутко отзываясь на всѣ явленія, волнующія и нынѣ особенно глубоко захватывающія правовые интересы общества. Считая правильное разрѣшеніе юридическихъ казусовъ, возникающихъ въ личной жизни читателей, однимъ изъ лучшихъ средствъ распространенія юридическихъ знаній и развитія истиннаго правосознанія, редакція по прежнему посвятитъ особое вниманіе тщательному составленію отвѣтовъ на правовые вопросы подписчиковъ.

ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ: С. А. Андреевскій, Л. А. Базуновъ, С. М. Барацъ, В. В. Беренштамъ, А. Л. Волынскій, А. С. Гольденвейзеръ, М. Л. Гольдштейнъ, И. М. Гордонъ, О. О. Грузенбергъ, В. И. Добровольскій, В. М. Дорошевичъ, Д. А. Дриль, Н. П. Дружининъ, Л. О. Зайденманъ, А. Д. Коротневъ, М. И. Куперникъ, А. Д. Ледницкій, А. А. Леонтьевъ, А. А. Лукашевичъ, В. А. Маклаковъ, М. С. Маргуліесъ, П. П. Мельниковъ, П. Г. Мироновъ, М. Г. Оршанскій, С. А. Муромцевъ, М. И. Мышъ, Н. Я. Новомбергскій, А. Я. Пассоверъ, Н. Б. Полыновъ, Г. О. Розенцвейгъ, А. Д. Самуильсонъ, А. Н. Турчаниновъ, И. М. Тютрюмовъ, А. М. Тютрюмовъ, Ф. А. Червинскій, А. А. Яблоновскій и др.

Издатель: Прис. Пов. Н. Б. Полыновъ.

Редакторы: Прис. Пов. Н. П. Карабчевскій. Пр. Пов. Л. Д. Ляховецкій.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Мая 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.